ღია მმართველობის პარტნიორობა: სახელმძღვანელო პრინციპები

(დოკუმენტი განახლდა 2014 წლის მარტსა და 2015 წლის აპრილში)

დოკუმენტი ითარგმნა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ IDFI და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

I. პრეისტორია და მიზნები 4
II. ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობა 4
III. OGP-ს ორი წლის შემაჯამებელი სამიტი 7
IV. OGP-ის მმართველი კომიტეტი, თანათავმჯდომარეები და ქვეკომიტეტები 9
V. OGP-ის სამდივნო 16
VI ანგარიშგების პროცესები OGP-ში 17
VII დაფინანსება 18
VIII. გამჟღავნების პოლიტიკა 19
IX. ცვლილებები 19
X. დანართი 19
დანართი B: OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულები 21
დანართი C: სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე საჯარო კონსულტაციების ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები 24
დანართი D: ღია მმართველობის დეკლარაცია 25
დანართი E: ღია მმართველობის პარტნიორობის გამოქვეყნების პოლიტიკა 28
დანართი F: OGP-ის რეაგირების პოლიტიკა 33
დანართი G: დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის (IRM) წესდება 38
I. ზოგადი მიმოხილვა 38
II. IRM-ის მმართველობა 40
III. IRM-ის ანგარიშგება 47

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) თარგმნა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სახელმძღვანელო პრინციპები (Articles of Governance). OGP ამერიკის შეერთებული შტატების და ბრაზილიის პრეზიდენტების ერთობლივი ინიციატივის შედეგად 2011 წლის 20 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრის ფარგლებში დაფუძნდა. დღეის მდგომარეობით, პარტნიორობაში 75 ქვეყანა და ადგილიბრივი ხელისუფლებაა გაერთიანებული. პარტნიორობა წარმოადგენს მრავალმხრივ, საერთაშორისო ინიციატივას და მიზნად ისახავს ხელისუფლების გამჭვირვალობის, მისი ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის, კორუფციასთან ბრძოლის, გადაწყვეტილების მიღების პროცესსი მოქალაქეთა ჩართულობის, აგრეთვე, მმართველობის გაძლიერებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას. საქართველო პარტნიორობას 2011 წელს შეუერთდა და აქტიურად არის ჩართული მისი პრინციპების დანერგვაში.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქმიანობის წესის, მიზნების, სტრუქტურის და რეგულაციების თაობაზე. დოკუმენტი ითარგმნა პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია **ევროკავშირის (EU)** მიერ და ხორციელდება **გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)** მიერ **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI)** თანამშრომლობით.

I. პრეისტორია და მიზნები

ღია მმართველობის პარტნიორობა (შემდგომში OGP) არის ნებაყოფლობითი, მრავალმხრივი საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობების მიერ მოქალაქეების წინაშე ვალდებულებების შემუშავებას. ეს ვალდებულებები გამჭვირვალობის ხელშეწყობას, მოქალაქეების გაძლიერებას, კორუფციასთან ბრძოლასა და მმართველობითი პროცესების ხელშეწყობის მიზნით, ტექნოლოგიების განვითარებას ისახავს მიზნად.

ამ მიზნების მისაღწევად OGP ქმნის საერთაშორისო ფორუმს, სადაც მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ დიალოგში, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და იდეები და ამრიგად საკუთარი წვლილი შეიტანონ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მთავარი მიზნების მიღწევაში. OGP-ის დაინტერესებულ მხარეები არიან მისი წევრი სახელმწიფოები, და სამოქალაქო საზოგადოებისა და OGP-ის პრინციპების მხარდამჭერი კერძო სექტორის წარმომადგენლები.

OGP არ არის დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეული.

წინამდებარე დოკუმენტში დეტალურად არის განხილული OGP-ის უფლებამოსილებისა და საქმიანობის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის:

- OGP-ის მმართველი საბჭო (SC) (იხ. სექცია IV);
- OGP-ის ორი წლის შემაჯამებელი (ასევე ცნობილი, როგორც პლენარული) სამიტი (იხ. სექცია III);
- OGP-ის სამდივნო (იხ. სექცია V); და
- OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) (იხ. სექცია VI და დანართი G).

II. ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობა

მთავრობები

წევრობის უფლების მქონე მთავრობებს OGP-ში გაერთიანება შემდეგი ქმედებების განხორციელებით შეუძლიათ:

ა) წარმოადგინონ განზრახვის წერილი, რომელიც ასახავს მთავრობის სურვილს ღია და გამჭვირვალე გახადოს მმართველობითი პროცესები და მონაწილეობა მიიღოს OGP-ში;

ბ) შეიმუშავონ კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც OGP-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება (იხ. დანართები B და C); და

გ) განახორციელონ სამოქმედო გეგმა და წარუდგინონ IRM-ს გეგმის განხორციელების პროგრესის ანგარიში.

ყველა მთავრობა, რომელმაც წარადგინა განზრახვის წერილი, ღია მმართველობის დეკლარაციაზე[1] ხელის მოწერით იკისრა OGP-ის პრინციპების დაცვის ვალდებულება

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი D – „ღია მმართველობის დეკლარაცია“.

OGP-ის და დაიწყო კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, OGP-ის წევრ მთავრობად მოიაზრება. ამ მთავრობების ჩამონათვალი OGP-ის ვებგვერდზეა მოცემული.[2]

OGP-ის სამდივნოსამდივნო, რომელიც სექცია V-შია აღწერილი, ყოველწლიურად, და ასევე დაინტერესებული პირების, მათ შორის მონაწილეობის მიმღები მთავრობების ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების თხოვნის საფუძველზე, განიხილავს სახელმწიფოების OGP-ში დასაშვებობის კრიტერიუმებს. OGP-ის სამდივნოსამდივნო შეისწავლის OGP-ის წევრობის უფლების მქონე სახელმწიფოების ჩამონათვალს და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ ცვლილებას აცნობებს კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტს (CS).

OGP-ში მონაწილეობის მიმღები მთავრობების მიმართ არსებული მოლოდინები

OGP-ში მონაწილეობის მიმღებმა მთავრობებმა ხუთი ძირითადი მოლოდინი უნდა დააკმაყოფილონ:

1. დაამტკიცონ ღია მმართველობის დეკლარაცია;
2. შეიმუშავონ ეროვნული სამოქმედო გეგმის კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც ამბიციით გასცდება ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას;
3. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით, შეიმუშავონ ქვეყნის სამოქმედო გეგმა;
4. აიღონ ქვეყნის მიღწევების თაობაზე თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი ანგარიშების წარდგენის ვალდებულებები; და
5. პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებისა და კვლევების გაზიარებით, ასევე ტექნიკური მხარდაჭერით, ხელი შეუწყონ სხვა ქვეყნებში ღია მმართველობის პრინციპების განვითარებას.

OGP-ის წევრი მთავრობები ვალდებულები არიან დაიცვან ღია მმართველობის დეკლარაციით განსაზღვრული ღირებულებები და პრინციპები და საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად თანმიმდევრულად და მუდმივად განავითარონ ღია მმართველობა. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობის მიმღები მთავრობა არაერთხელ (ზედიზედ ორი სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლში) OGP-ის პროცესებისა და საკუთარი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს (იხ. დანართები B და C), ადეკვატურ პასუხს ვერ გასცემს IRM-ის მიერ წამოჭრილ საკითხებს, ან განახორციელებს ქმედებას, რომელიც ძირს უთხრის OGP-ის პრინციპებს და ღირებულებებს, კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, მმართველ კომიტეტს უფლება აქვს გადახედოს ამ მთავრობის OGP-ში მონაწილეობას. OGP-ის სამდივნოსამდივნო, გადახედვის მიზნებიდან გამომდინარე, ინიშნავს მისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და თვითშეფასების ანგარიშების მიწოდების თარიღებს. როგორც კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის, ისე მმართველი კომიტეტის მიერ განხორციელებული პროცესები მოიცავს უშუალო დიალოგს გადახედვის ქვეშ მყოფ

[2] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი B – „OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებები“.

მთავრობასთან. უფრო კონკრეტულად, OGP-ის კეთილსინდისიერებისა და კანონიერების დასაცავად მმართველი კომიტეტი გადახედავს OGP-ში მთავრობის მონაწილეობას იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ვერ გადაჭრის შემდეგ საკითხებს:

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობის მიმღები მთავრობა ვერ სცდება დასაშვებობის კრიტერიუმის მინიმუმს (იხ. დანართი A, რომელსაც OGP-ის სამდივნოსამდივნო ყოველ წელს ანახლებს), ის ვალდებულია დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები, რათა ერთი წლის განმავლობაში გადალახოს ზემოთ აღნიშნული ბარიერი;

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭრი ერთეული ან IRM გამოაშკარავებს, რომ მონაწილეობის მიმღები მთავრობა არაერთხელ (ზედიზედ ორი სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლში) OGP-ის პროცესებისა და საკუთარი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, მმართველ კომიტეტს უფლება აქვს გადახედოს ამ მთავრობის OGP-ში მონაწილეობას;

3. იმ შემთხვევაში, თუ OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი, მრავალმხრივი ან სამუშაო ჯგუფის წევრი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, არაკომერციული ორგანიზაცია ან მედია ორგანიზაცია აცნობებს მმართველ კომიტეტს ან სამდივნოს იმის თაობაზე, რომ OGP-ში მონაწილეობის მიმღები მთავრობა ღია მმართველობის დეკლარაციით განსაზღვრული და ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო პრინციპებით დამტკიცებული ღირებულებებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მმართველი კომიტეტი და კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტი, სამდივნოსთან ერთად, OGP-ის რეაგირების პოლიტიკის შესაბამისად (დანართი F), განიხილავენ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას/შემთხვევებს და შესაბამის ზომებზე თანხმდებიან.

მმართველი კომიტეტის და მონაწილე მთავრობის ურთიერთობა მთავრობისა და მის მოქალაქეებს შორის ვერტიკალურ ანგარიშვალდებულებას უნდა მოიცავდეს, რაც OGP-ის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს.

მმართველი კომიტეტი OGP-ში მთავრობის მონაწილეობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას საჯარო ანგარიშის ფორმით გამოსცემს.

<u>სამოქალაქო საზოგადოება</u>

მონაწილე მთავრობებთან ერთად, OGP-ის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსაც შეუძლიათ, რაც მმართველ კომიტეტში გაწევრიანებით, სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში ჩართულობით და OGP-ის ორი წლის შემაჯამებელ სამიტში და სხვა გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებით არის შესაძლებელი. მმართველ კომიმტეტში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა დეტალურად სექცია IV-შია განხილული.

<u>კერძო სექტორი</u>

OGP მხარს უჭერს ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და მხარდაჭერის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობას, რაც ადგილობრივ საჯარო განხილვებსა და მრავალმხრივ ფორუმებში მონაწილეობით და ასევე ტექნიკური ექსპერტიზის უზრუნველყოფით არის შესაძლებელი. კერძო სექტორის ორგანიზაციებს

ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ OGP-ის ორი წლის შემაჯამებელ სამიტში და სხვა გასვლით ღონისძიებებში.

OGP-ის დამკვირვებლები

მმართველი კომიტეტი უფლებამოსილია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობათაშორისო ორგანოების წარმომადგენლები დამკვირვებლების სტატუსით მოიწვიოს OGP-ის ორი წლის შემაჯამებელ სამიტსა და მმართველი კომიტეტის სხვა ღონისძიებებზე. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ, OGP-ის თითოეული მრავალმხრივი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი მმართველი კომიტეტის შესაბამის სესიაზე იქნება მოწვეული. დამკვირვებლები მმართველი კომიტეტის ხმის მიცემის პროცესზე გავლენას ვერ ახდენენ, თუმცა მათ შეუძლიათ ქვეყნის მხარდაჭერასთან და გამოცდილების გაცვლასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების გაზიარება.

III. OGP-ს ორი წლის შემაჯამებელი სამიტი

OGP-ის ყველა წევრი სახელმწიფოს შეხვედრა (შემდგომში, OGP-ის ორი წლის შემაჯამებელი სამიტი), გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. სამიტი OGP-ის სპეციალური პლენარული სხდომის როლს ასრულებს და წარმოადგენს ფორუმს, სადაც დაინტერესებული მხარეები ინიციატივის სამომავლო მიზნებს ავითარებენ და ღია მმართველობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. ღია მმართველობის პარტნიორობის ორი წლის შემაჯამებელ სამიტს OGP-ის წამყვანი თავმჯდომარე მასპინძლობს, ხოლო დანარჩენი ოთხი თავმჯდომარე OGP-ის შემაჯამებელი სამიტის თანათავმჯდომარეებად გვევლინებიან. შემაჯამებელი სამიტის ორგანიზებისა და წარმართვის ყველა ასპექტთან დაკავშირებით სამდივნოსამდივნო მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტთან ერთად მუშაობს.

იმ წელს, რომელშიც შემაჯამებელი სამიტი არ ტარდება, OGP მაღალი რანგის მინიმუმ ერთ ღონისძიებას მაინც ატარებს და მასში OGP-ის ყველა წევრი სახელმწიფო მონაწილეობს. ასეთი ღონისძიება OGP-ის სპეციალური პლენარული სხდომის როლს ასრულებს.

<u>თარიღები და ადგილმდებარეობა:</u> ღონისძიებამდე მინიმუმ 6 თვით ადრე, წამყვანმა თავმჯდომარემ უნდა გადაწყვიტოს თუ როდის და სად ჩატარდება ორი წლის შემაჯამებელი სამიტი.

<u>მოსაწვევები:</u> მონაწილე მთავრობებს მოსაწვევებს წამყვანი თავმჯდომარე გადასცემს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მოსაწვევების გადაცემა შერჩევის პრინციპს ეფუძნება, რომელსაც სამდივნო წარმართავს, ხოლო შერჩეული კანდიდატების დამტკიცება მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტის მიერ ხორციელდება (იხ. ქვემოთ). სამთავრობო დელეგაციების ზომას წამყვანი თავმჯდომარე განსაზღვრავს. დამატებითი მოსაწვევები თანათავმჯდომარეების შეხედულებისამებრ გაიცემა. ორი წლის შემაჯამებელ სამიტზე მოწვევის პროცესს თანათავმჯდომარეები უწევენ კოორდინაციას.

დამკვირვებლის სტატუსით მოწვეული მთავრობისათვის სამიტზე დასწრება OGP-ში სრულ მონაწილეობას არ ნიშნავს.[3]

<u>დღის წესრიგი:</u> წამყვანი თავმჯდომარე, მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტთან ერთად, სამიტის დღის წესრიგს აყალიბებს. დღის წესრიგის შემუშავებისას, OGP-ის დაინტერესებული მხარეები ასევე უფლებამოსილები არიან თავმჯდომარეებს დღის წესრიგში შესატანად დამატებითი ღონისძიებები შესთავაზონ.

<u>სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ორი წლის შემაჯამებელ სამიტში:</u> არსებული რესურსების გათვალისწინებით, OGP-ის სამდივნო OGP-ში მონაწილე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების სამიტზე დასწრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს. OGP-ში მონაწილე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შერჩევის პროცესი OGP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე, საჯაროდ მიმდინარეობს.

OGP-ის სამიტსა და სხვა მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ღია მოწვევის პრინციპს ეფუძნება. შესაბამისად, მთავრობები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია დაესწრება სამიტს მათი სახელით და მათ არ გააჩნიათ ვეტოს უფლება. რაც შეეხება იმ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც სამიტზე დაფინანსების მიღების შედეგად არიან წარმოდგენილნი, OGP-ის სამდივნო, სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეებთან ერთობლივად, შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესზე მუშაობს, რათა განსაზღვროს, თუ რომელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის დასწრება იქნება სამიტზე ყველაზე მიზანშეწონილი. ამასთან, OGP-ის მიერ დაფინანსებულ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებითა და სამიტზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ორი წლის შემაჯამებელ სამიტზე სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც არიან მოწვეულნი.

<u>მონაწილეობის დონე:</u> მთავრობების მაქსიმალური პოლიტიკური ნების შესანარჩუნებლად, OGP-ის ორი წლის შემაჯამებელი სამიტი OGP-ის წევრი ქვეყნებიდან სახელმწიფოს მეთაურის დონეზე მონაწილეობას უზრუნველყოფს. სახელმწიფოს მეთაურის დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს მთავრობის მაღალი რანგის წევრის დანიშვნა ევალება, რომელიც სამიტს მის ნაცვლად დაესწრება.

[3] იხ. დანართი A – „ღია მმართველობის პარტნიორობაში გაერთიანების დასაშვებობის კრიტერიუმები სახელმწიფოებისათვის“; ასევე იხ. ქვეკატეგორია „OGP-ის დამკვირვლებლები“ (ზემოთ) და ქვეკატეგორია „სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ორი წლის შემაჯამებელ სამიტში“ (ქვემოთ)

IV. OGP-ის მმართველი კომიტეტი, თანათავმჯდომარეები და ქვეკომიტეტები

მმართველი კომიტეტი

მიზანი: OGP-ის მმართველი კომიტეტი (Steering Committee) ინიციატივის აღმასრულებელი, გადაწყვეტილებების მიმღები ერთეულია. მმართველი კომიმტეტის მთავარი დანიშნულებაა OGP-ის პრინციპებისა და ინტერესების შემუშავება, უზრუნველყოფა და დაცვა. ის ასევე ადგენს პარტნიორობის ძირითად იდეებს, პოლიტიკასა და წესებს და ზედამხედველობს პარტნიორობის ფუნქციონირებას. ის ღიად და გამჭვირვალედ მართავს OGP-ის დაინტერესებული მხარეების პარტნიორობაში გაერთიანების, როტაციისა და გასვლის პროცესებს. თანათავმჯდომარეების ხელმძღვანელობით, მმართველი კომიტეტი გეგმავს და მართავს მნიშვნელოვან შეხვედრებსა და ქმედებებს, რომელთა განხორციელება შეხვედრებს შორისაა აუცილებელი.

ფუნქციები: აღმასრულებელი ერთეულის უფლებამოსილების ფარგლებში, ქვეკომიტეტების დახმარებით, მმართველი კომიტეტი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ადგილობრივ ვალდებულებებთან, სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ პროგრესთან, ორი წლის შემაჯამებელ სამიტში მონაწილეობასთან და აგრეთვე ღია მმართველობის ხელშეწყობისთვის არსებულ სხვა საერთაშორისო შესაძლებლობებთან დაკავშირებული მაგალითების წარმოდგენით, ხელმძღვანელობს OGP-ის;
- ინიციატივის ფუძემდებლური ბუნებისა და მიზნებისადმი ერთგულებით, OGP-ის დღის წესრიგსა და მიმართულებას განსაზღვრავს;
- ინიციატივაში დაინტერესებულ მხარეთა წევრობას, აგრეთვე მათ დასაშვებობასა და მონაწილეობას ხელმძღვანელობს;
- მონაწილეობს მუდმივ დიალოგში როგორც მთავრობასთან, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;
- ადამიანური და სხვა სახის რესურსებით ინტელექტუალურ და ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს; და
- განსაზღვრავს და იცავს OGP-ის ბიუჯეტს.

შემადგენლობა: პარტნიორობის შერეული, სამთავრობო-სამოქალაქო ბუნებიდან გამომდინარე, მმართველი კომიტეტი მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შედგება, რომლებიც OGP-ის განვითარებას და მიმართულებას ერთობლივად წარმართავენ და ინიციატივის უმაღლესი სტანდარტებისა და გრძელვადიანი მდგრადობის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. მმართველ კომიტეტში მაქსიმუმ 22 წევრი შეიძლება იყოს გაერთიანებული (11 OGP-ის წევრი ქვეყნების მთავრობებიდან და 11 სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიდან) და მათი რაოდენობა პროპორციულად უცვლელი რჩება.

მმართველ კომიტეტში მთავრობის წევრების არჩევისას, OGP გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების რეგიონული განაწილებით

ხელმძღვანელობს. მმართველ კომიტეტში გაერთიანება თითოეული რეგიონიდან (გაერთიანებული ერების სტატისტიკური განყოფილების რეგიონული განაწილების შესაბამისად, აფრიკა, აზია, ამერიკა და ევროპა) წარმოდგენილ მინიმუმ ერთ და მაქსიმუმ 4 მთავრობას შეუძლია.

<u>მთავრობის წარმომადგენლების შერჩევა:</u> ყოველ წელს, OGP-ის თითოეული წევრი მთავრობა ხმის მიცემით მმართველი კომიტეტის წარმომადგენლად ახალ მთავრობას ირჩევს.

<u>სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შერჩევა:</u> სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეები აყალიბებენ შერჩევის კომიტეტს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების როტაციას აორგანიზებს.

<u>კანდიდატურა:</u> მმართველი კომიტეტის წევრობაში დაინტერესებულმა მთავრობებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა საკუთარი კანდიდატურა OGP-ის ვებგვერდზე განთავსებული და სამდივნოს მიერ მართული ფორმის შევსებით უნდა წარადგინონ. თითოეული ნომინაცია უნდა მოიცავდეს მმართველი კომიტეტის წევრობის კანდიდატი მთავრობის/ორგანიზაციის შესახებ დეტალებს, მის საუკეთესო გამოცდილებას ღია მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებში, განზრახვის წერილს, რომელშიც კანდიდატი აღწერს, თუ როგორ აპირებს OGP-ის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას, რითი გააძლიერებს მმართველ კომიტეტს და იმ დროის რაოდენობას, რომლის დათმობაც მას OGP-ის საქმიანობის განხორციელებისათვის შეუძლია. მმართველი კომიტეტის მიერ ყველა კანდიდატურის შესწავლის შემდეგ, კანდიდატი მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მთლიანი ჩამონათვალი ასარჩევად OGP-ის ყველა საარჩევნო ოლქს წარედგინება.

<u>წევრობის ხანგრძლივობა და როტაცია:</u> მმართველი კომიტეტის წევრობის ხანგრძლივობა 3 წელს შეადგენს და წევრის არჩევა ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ არის შესაძლებელი. მმართველ კომიტეტში არ არსებობს მუდმივი ადგილები. შესაბამისად, წევრმა, რომელსაც მეორე ვადით სურს საბჭოს შემადგენლობაში შესვლა, ხელმეორედ უნდა წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა. 2014 წელს პირველად განხორციელდება მთავრობის წევრების როტაცია და ჩატარდება სპეციალური არჩევნები, რათა ზოგიერთი მთავრობის წარმომადგენელი საბჭოს წევრად 1 წლის ვადით, ხოლო ზოგი 2 ან 3 წლის ვადით იქნეს არჩეული და 2015 წლიდან უზრუნველყოფილ იქნეს წევრების რეგულარული წლიური როტაცია. მმართველი კომიტეტის შემადგენლობა ყოველი წლის 1 ოქტომბერს შეიცვლება. ახალი წევრების არჩევის შემდეგ, როგორც ყოფილი, ისე ახლად არჩეული წევრები მოწვეულები უნდა იყვნენ მმართველი კომიტეტის პირველ შეხვედრაზე.

<u>შეხვედრები:</u> წამყვანი თავმჯდომარე ორი წლის შემაჯამებელ სამიტსა და მმართველი კომიტეტის წელიწადში არანაკლებ 3 (ერთს – მინისტრთა დონის და ორს – სამუშაო დონის) შეხვედრას აორგანიზებს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, წამყვან თავმჯდომარეს დამატებითი შეხვედრების ჩანიშვნის უფლებაც აქვს. უფლებამოსილებების ჯეროვანი გადაცემის უზრუნველსაყოფად, პირველ შეხვედრას, რომელიც მმართველი კომიტეტის ახალი წევრების არჩევის შემდეგ ტარდება, ესწრებიან როგორც ყოფილი, ისე ახლადარჩეული საბჭოს წევრები. მმართველი კომიტეტის სამუშაო დონის შეხვედრის ჩატარებამდე არანაკლებ 4 კვირით ადრე, ხოლო მინისტრთა დონის შეხვედრის ჩატარებამდე არანაკლებ 8 კვირით ადრე, წამყვანი თავმჯდომარე ვალდებულია გააფრთხილოს შეხვედრაში მონაწილე მხარეები. მმართველი კომიტეტის

თითოეული შეხვედრის დღის წესრიგს მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტი ადგენს და დღის წესრიგის დასამტკიცებლად, შეხვედრამდე არანაკალებ 2 კვირით ადრე, დღის წესრიგის სამუშაო ვერსიას მმართველ კომიტეტს აცნობებს. შეხვედრამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე, მმართველი კომიტეტის წევრებმა საკუთარი დელეგაციის შემადგენლობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარადგინონ.

<u>შეხვედრის შედეგები და შეხვედრასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გასაჯაროება:</u> შენიშვნებთან ერთად, კომენტარის ავტორის მითითების გარეშე, ქვეყნდება მმართველი კომიტეტის სხდომის ოქმები. სხდომა Chatham House-ის წესების შესაბამისად ტარდება, თუმცა სხდომაში მონაწილეებს უფლება აქვთ სხდომის ოქმით მოითხოვონ აღნიშნული წესისთვის გამონაკლისის დაშვება.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მმართველი კომიტეტის წევრი ითხოვს სხდომის დახურვას, მედია საშუალებების, მათ შორის Facebook-ის და Twitter-ის გამოყენება, OGP-ის მმართველი კომიტეტის ყველა სხდომაზე დაშვებულია. მედიის გამოყენებისას, კონკრეტული მონაწილეების მიმართ აგრეთვე Chatham House-ის წესები გამოიყენება და ამასთან, დაუშვებელია სხდომაში მონაწილე მხარეების სურათების მათი ნებართვის გარეშე განთავსება და გავრცელება.

სხდომის ჩატარებამდე, წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტები, რომლებიც მმართველი კომიტეტის სხდომებზე განიხილებოდა, OGP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (სხდომის დღის წესრიგთან და მონაწილეების სიასთან ერთად) ქვეყნდება. ეს დოკუმენტები ვებგვერდზე სამუშაო დოკუმენტებად აღინიშნება.

სესიის დაწყებამდე მმართველი კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ სხდომის დახურულ ფორმატში ჩატარება მოითხოვონ. დახურული სხდომის შემდეგ, მმართველი კომიტეტის წევრებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა ფორმატით და მეთოდით მოხდება სხდომის ოქმის გასაჯაროება.

<u>გადაწყვეტილების მიღება</u>: გადაწყვეტილებების უმეტესობას მმართველი კომიტეტის სრული შემადგენლობა იღებს. გადაწყვეტილებების მიღება შეხვედრებზე ან, შეხვედრების არაპრაქტიკულობის შემთხვევაში, წრიულად ხდება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბჭოს წევრებმა კონსენსუსს უნდა მიაღწიონ; კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით ხდება (გამონაკლისს წარმოადგენს გაგრძელებული წევრობის უფლება, რომელიც დეტალურად სექცია II-შია განხილული). ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, წამყვანი თავმჯდომარე ხელმეორე, გადამწყვეტ კენჭისყრას ნიშნავს. კვორუმი მიღწეულია იმ შემთხვევაში, თუ ხმის მიცემას თითოეული საარჩევნო ოლქის (მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების) არანაკლებ 50 პროცენტი ესწრება. მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტი უფლებამოსილია შეხვედრებს შორის ლოგისტიკური გადაწყვეტილებები მიიღოს, მაგალითად, განსაზღვროს ორი წლის შემაჯამებელი სამიტის კონკრეტული დეტალები.

საბჭოს წევრებს არ აქვთ უფლება კენჭისყრაში მინდობილობის საფუძველზე მიიღონ მონაწილეობა. მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, მმართველი კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ სხდომაზე დასასწრებად სტუმარი დამკვირვებლები მოიწვიონ. ასეთ დამკვირვებლებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში.

<u>ინტერესთა კონფლიქტი:</u> ზოგადად, მმართველი კომიტეტის წევრებმა მაქსიმალურად უნდა ეცადონ თავიდან აიცილონ ნებისმიერი არსებული ან შესაძლებელი ინტერესთა კონფლიქტი და თავი შეიკავონ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებისგან. მმართველი კომიტეტის ან/და მისი წევრების მიერ OGP-ის ფინანსების მართვასთან და ბიუჯეტის გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა გარე აუდიტორს ევალება, რომელიც ომბუდსმენის უფლებამოსილებას ასრულებს.

ქვეკომიტეტებისა და მმართველი კომიტეტის წევრების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჩივარს მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტი განიხილავს. აღნიშნული არ ვრცელდება იმ საჩივრებზე, რომლებიც თავად მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტს ეხება. ასეთ საჩივრებს მმართველი საბჭო განიხილავს.

<u>მმართველი კომიტეტის წევრების მიმართ არსებული მოლოდინები:</u> საერთაშორისო ინიციატივაში მონაწილეობის მიღების გზით და ადგილობრივი გარემოს უზრუნველყოფით, მმართველი კომიტეტის წევრებმა უნდა გამოხატონ თავიანთი ერთგულება OGP-ის პრინციპების მიმართ. საბჭოს მმართველობის განხორციელებისას, წევრებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ OGP-ის საზოგადოების წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ მმართველი კომიტეტის წევრი აღარ აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმებს, გამოიყენება მონაწილეობის გადახედვის იგივე პროცესი, რომელიც სექცია III-შია განხილული.

<u>როტაცია OGP-ის მმართველ კომიტეტში:</u> მმართველი კომიტეტის წევრების არჩევის პროცესი წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს და ოქტომბრის თვეში სრულდება. მთავრობის წევრების არჩევა ფარული კენჭისყრით ხორციელდება. სამოქალაქო საზოგადოების წევრების არჩევა ცალკე, სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეების მიერ ხორციელდება. წევრთა არჩევის მთლიან პროცესს სამდივნო, საბჭოს თავმჯდომარეების ზედამხედველობით ახორციელებს.

მმართველი კომიტეტის წევრების არჩევის მიზნით, OGP მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისაგან შემდგარ ორ დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქად იყოფა. თითოეული საარჩევნო ოლქი ირჩევს თავის საკუთარ წევრს.

მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებისათვის, რომელთაც OGP-ის მმართველ კომიტეტში შესვლა სურთ, მმართველი კომიტეტი ღია ნომინაციების პროცესს ატარებს. ღია ნომინაციების პროცესი მოიცავს გამჭვირვალე და დეტალურ კრიტერიუმებს იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება მმართველი კომიტეტის წევრების არჩევა. არჩევნებში მონაწილეობის მიმღები ყველა სახელმწიფოს და მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გათვალისწინებითა და განხილვით, OGP-ის მხარეებისათვის წარსადგენი კანდიდატების საბოლოო სიის შედგენისას, მმართველი კომიტეტი პასუხისმგებელია რეგიონული მრავალფეროვნების უზრუნველყოფაზე.

არჩევნებში მონაწილეობის დასაშვებობის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფოს ევალება:

1. OGP-ისთვის განზრახვის წერილის მიწორდების შემდეგ შეინარჩუნოს ან გააუმჯობესოს თავისი დასაშვებობის დონე;

2. შეთანხმებული ვადებიდან 4 თვეში გამოაქვეყნოს OGP-ის მიერ მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტი (სამოქმედო გეგმები, თვითშეფასების ანგარიშები და სხვა); და

3. იმოქმედოს ღია მმართველობის დეკლარაციის შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებთან ერთად, მმართველი კომიტეტის მოქმედ წევრებს, რომლებსაც სურთ მეორე ვადით მმართველ კომიტეტში შესვლა, ევალებათ:

4. OGP-ის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წევრი სახელმწიფო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია); და

5. მმართველი კომიტეტისა და ქვეკომიტეტების შეხვედრებში მონაწილეობის რეგულარულად მიღება და დასწრება.

მთავრობების წარმომადგენლების შემთხვევაში, მმართველი კომიტეტი უნდა შედგებოდეს თითოეული რეგიონის (აფრიკა, ამერიკა, აზია და ევროპა) მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ოთხი მთავრობისაგან. OGP-ის წევრი ყველა მთავრობა მონაწილეობს მთავრობებისაგან დაკომპლექტებული მმართველი კომიტეტის წევრების არჩევაში. თითოეულ მონაწილე მთავრობას შეუძლია ერთი ხმის მიცემა. იმ შემთხვევაში, თუ თითოეული რეგიონიდან წარმოდგენილ კანდიდატებს არ გააჩნიათ მმართველ კომიტეტში შესვლისათვის აუცილებელი რეგიონული კვოტები, მთავრობა, რომელიც მიღებული ხმების რაოდენობით რიგით მეორე ადგილზეა, განურჩევლად იმისა, თუ რომელი რეგიონიდან არის ის წარმოდგენილი, შევა მმართველი კომიტეტის შემადგენლობაში.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შემთხვევაში, შერჩევის კომიტეტი 5 წევრისაგან იქნება დაკომპლექტებული და მასში შევლენ საბჭოს ორი მოქმედი წევრი სამოქალაქო საზოგადოებიდან და ასევე სამოქალაქო საზოგადოების სხვა 3 წარმომადგენელი. შერჩევის კომიტეტი შეაფასებს და დაახარისხებს კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ წარდგენისათვის აუცილებელ წინაპირობებს იმ საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმების შესაბამისად, რომელთა გაზიარება სამოქალაქო საზოგადოებასთან როტაციის პროცესის საწყის ეტაპზე მოხდა. შერჩევის კომიტეტი წარადგენს რეკომენდაციებს მმართველი კომიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ახალი წევრების თაობაზე. სამოქალაქო საზოგადოების მოქმედმა წევრებმა აღნიშნულ რეკომენდაციებს მხარი უნდა დაუჭირონ. მმართველ კომიტეტში შემავალი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ახლადწარდგენილი წევრების სიის დამტკიცების შემდეგ, შერჩევის კომიტეტი ფართო საზოგადოებას წერილობით წარუდგენს ანგარიშს მისი პროცესების, განხილვებისა და მის მიერ გაკეთებული არჩევანის თაობაზე. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეები საკუთარი არჩევანის თაობაზე მმართველ კომიტეტს აცნობებენ.

<u>OGP-ის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეები</u>

<u>შემადგენლობა:</u> მმართველი კომიტეტი ოთხი თანათავმჯდომარისგან, მათ შორის, წამყვანი მთავრობის თავმჯდომარისაგან, მხარდამჭერი (ან შემომავალი) მთავრობის თავმჯდომარისაგან და ორი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლისაგან, შედგება. მათ მმართველი კომიტეტი სრული შემადგენლობით ირჩევს. თავმჯდომარეობის მეორე

წელს, ახალი მხარდამჭერი მთავრობის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, მოქმედი მხარდამჭერი მთავრობის თავმჯდომარე წამყვანი მთავრობის თავმჯდომარის პოზიციას იკავებს. ოთხმა თავმჯდომარემ, რომლებიც ქმნიან მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტს, არ უნდა ჩაანაცვლონ დანარჩენი ქვეკომიტეტების უფლებამოსილება და გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარე ვერ განახორციელებს წამყვანი თავმჯდომარის უფლებამოსილებას. მათი თავმჯდომარეობიდან ერთი წლის განმავლობაში, წინამორბედი წამყვანი მთავრობის თავმჯდომარეები და სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეები ახლადარჩეული თანათავმჯდომარეების მრჩევლების როლს ასრულებენ.

<u>პასუხისმგებლობა:</u> მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეების პასუხისმგებლობაში შედის:

ხელმძღვანელობა: OGP-ის ღირებულებებისა და მიზნების დაცვა. სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა და ბალანსის შენარჩუნება და ასევე მთავრობების მხრიდან მოქალაქეების წინაშე ვერტიკალური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. ყოველივე ზემოაღნიშნული მოიცავს სამდივნოს საქმიანობის ზედამხედველობას და საჭირო რესურსების უზრუნველყოფას.

ადვოკატირება: შესაბამისი ადგილობრივი და გლობალური კავშირების მაქსიმალური გამოყენებით, OGP-ში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული მოიცავს მრავალმხრივი პარტნიორობების ჩამოყალიბებაში ლიდერის როლის შესრულებას და OGP-ის სახელით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მონაწილეობის მიღებას.

წარმომადგენლობა: გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფორუმებზე და ასევე მედიის წარმომადგენლებთან წამყვანი თავმჯდომარე OGP-ის სახელით საუბრობს. შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, სამოქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეებს არ აქვთ უფლება სამოქალაქო საზოგადოების სახელით ისაუბრონ. სამდივნოს აღმასრულებელ დირექტორს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ ღონისძიებებზე და ასევე მედიის წარმომადგენლებთან OGP-ის სახელით ისაუბრონ.

კოორდინაცია: OGP-ის შეხვედრებს შორის, მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტი, რომელიც 4 თავმჯდომარისგან არის დაკომპლექტებული, ატარებს რეგულარულ კონსულტაციებს, რათა კოორდინირება გაუწიოს ქვეყნების მიერ განხორციელებულ ადვოკატირებას, დაგეგმოს შეხვედრები და განავრცოს OGP-ის ინტერესები.

<u>არჩევნები და როტაცია:</u> თავმჯდომარეებს მმართველი კომიტეტის წევრები ირჩევენ. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებმაც ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ OGP-ის თავმჯდომარეობაზე საკუთარი ან ერთმანეთის კანდიდატურის წარდგენა და ამისათვის ისინი, შესაბამისი წლის მარტის თვემდე, OGP-ის მიმდინარე თავმჯდომარეებს მიმართავენ. ამის შემდეგ OGP-ის თავმჯდომარეები, მრავალფეროვნების, მთავრობის შესაძლებლობებისა და საარჩევნო ვადების გათვალისწინებით, მონაწილეობას იღებენ შესაბამის კონსულტაციებში. შესაბამისი წლის მაისის თვემდე, თავმჯდომარეები მომდევნო ორი წლის ვადით ასარჩევ თავმჯდომარეებს

რეკომენდაციას უწევენ. მმართველი კომიტეტი თავმჯდომარეების როტაციასთან დაკავშირებით წარდგენილ რეკომენდაციებზე კონსენსუსის მიღწევას ისახავს მიზნად ან, საჭიროების შემთხვევაში, ხმის მიცემის პროცესის დაწყებას უწყობს ხელს.

2012 წლის სექტემბრიდან, მმართველი კომიტეტის წევრების როტაცია ყოველწლიურად განხორციელდება და თითოეული თავმჯდომარე საკუთარ უფლებამოსილებას 2 წლის განმავლობაში შეასრულებს: პირველ წელს – მხარდამჭერი თავმჯდომარის, ხოლო მომდევნო წელს, წამყვანი თავმჯდომარის უფლებამოსილებას შეასრულებს. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეების არჩევა 2 წლის ვადით განხორციელდება.

<u>მმართველი კომიტეტის ქვეკომიტეტები</u>

განხორციელებული საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, მმართველ კომიტეტს 3 ქვეკომიტეტი გააჩნია. ქვეკომიტეტებს ევალებათ წინასწარი საქმიანობის განხორციელება და მმართველი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება. წინამდებარე მუხლებით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა ან მმართველი კომიტეტის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევების გარდა, ქვეკომიტეტები, გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მმართველ კომიტეტს რეკომენდაციებით მიმართავს. საჭიროების შემთხვევაში, მმართველი კომიტეტი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი ქვეკომიტეტები. თითოეული მოქმედი ქვეკომიტეტი მმართველი კომიტეტის წევრი მთავრობებისაგან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული.

OGP შემდეგი ქვეკომიტეტებისგან შედგება:

<u>მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტი</u> – მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტი აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილებას ასრულებს და OGP-ის ოთხი თავმჯდომარისაგან არის დაკომპლექტებული. ის OGP-ის უწვეტ მართვას და საქმიანობის დროულ განხორციელებას უზრუნველყოფს. ის ზედამხედველობს OGP-ის სამდივნოს და ხელს უწყობს OGP-ის ქვეკომიტეტების ეფექტურობას. მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტი თანამდებობაზე ნიშნავს სამდივნოს აღმასრულებელ დირექტორს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიმართულებებს და აღმასრულებელ დირექტორთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სამდივნოს მიერ აუცილებელი რესურსების ქონას, რათა შემდგომ ამ უკანასკნელმა შეძლოს მმართველი კომიტეტისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად ბიუჯეტის წარდგენა.

<u>კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი</u> – კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი წარუდგენს რეკომენდაციებს მმართველ კომიტეტს OGP-ის წევრი სახელმწიფოების დასაშვებობის კრიტერიუმების თაობაზე და აცნობებს მმართველ კომიტეტს იმის თაობაზე, რომ კრიტერიუმები განახლებას საჭიროებს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო OGP-ის პრინციპების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და OGP-ში მისი წევრობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი მმართველ კომიტეტს რეკომენდაციებით მიმართავს. მთავრობების მიერ თვითშეფასების ანგარიშების შემუშავების მიზნით, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი მთავრობებისათვის სახელმძღვანელო პრინციპებს შეიმუშავებს. ის თვალყურს ადევნებს დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო ექსპერტების პანელის (International Expert Panel),

პროექტის მართვის გუნდისა და ადგილობრივი მკვლევარების მიერ მაღალი ხარისხის და ზუსტი ანგარიშების მიწოდება. აღნიშნული საერთაშორისო ექსპერტების პანელის წევრების არჩევასა და დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის პროგრამის მმართველის დანიშვნას მოიცავს.

<u>გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტი</u> – გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტი ზედამხედველობს OGP-ის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერისა და გამოცდილების გაზიარების სტრატეგიას, სახელდობრ, ხელს უწყობს OGP-ის წევრ სახელმწიფოებს შორის გამოცდილების გაზიარებას. გამოცდილების გაზიარების ძირითად მექანიზმებს OGP-ის რეგიონული ღონისძიებები, ვებინარები, თემატური სამუშაო ჯგუფები და ასევე OGP-ის ვებგვერდზე განთავსებული მასალები წარმოადგენს. გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტი მოუწოდებს მთავრობებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნულ აქტივობებში; ისინი ასევე უფლებამოსილები არიან ახალი თემატური ჯგუფების შექმნის თაობაზე მმართველ კომიტეტს რეკომენდაციით მიმართონ. ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში OGP-ის ღონისძიებების ორგანიზებაში, ქვეკომიტეტის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარ თავზე აიღონ ამ ღონისძიებების ორგანიზების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. ამასთან, გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის კომიტეტს ევალება OGP-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესწავლის პროცესის ზედამხედველობა, მაგალითად, თემატური კვლევებისა და გავლენის ანალიზის გზით. გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტი ზედამხედველობას უწევს მრავალმხრივი ორგანიზაციების პარტნიორობებს, რომლებიც ხელს უწყობენ გამოცდილების გაზიარებასა და სწავლას.

V. OGP-ის სამდივნო

OGP-ის საქმიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილია მუდმივი სამდივნო. პარტნიორობის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის სამდივნოს ფუნქციას სამდივნო ასრულებს და მის მოვალეობებში შედის: ინსტიტუციური კონტაქტების შენარჩუნება, ბრენდის და კომუნიკაციების მართვა და OGP-ის წამყვან ინსტიტუციურ პარტნიორებთან და დონორებთან საორგანიზაციო ურთიერთობების უწყვეტობის უზრუნველყოფა. სამდივნო წარმოადგენს ნეიტრალურ, მესამე მხარეს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის და ამ ორ ჯგუფს შორის ბალანსს უზრუნველყოფს. სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორი, მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავებს სამუშაო გეგმას და წარუდგენს ანგარიშებს მმართველ კომიტეტს. სამდივნოს თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. მმართველი კომიტეტის და ქვეკომიტეტების შეხვედრებზე, ასევე OGP-ის ორი წლის შემაჯამებელ სამიტზე, სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორი ან მისი მოადგილე ასრულებს მდივნის როლს.

სამდივნო OGP-ის ყველა დოკუმენტს, მათ შორის OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრების, ორი წლის შემაჯამებელი სამიტისა და სხვა ღონისძიებების სხდომის ოქმებს ინახავს. ყველა სხდომის ოქმი ქვეყნდება OGP-ის ვებგვერდზე, მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული გამჟღავნების პოლიტიკის შესაბამისად. სამდივნო მმართველ კომიტეტს, დამფუძნებლებსა და OGP-ის მხარეებს რეგულარულად

წარუდგენს სიახლეებს და ვებგვერდზე წლიურ ანგარიშს აქვეყნებს. ის ასევე OGP-ის მხარეების საკონტაქტო ინფორმაციის შენახვაზეა პასუხისმგებელი.

სამდივნო, მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტთან ერთად, OGP-ის ყველა გარე კომუნიკაციას მართავს.

ამასთან, სამდივნო, OGP-ის ფარგლებში ვალდებულებების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს წევრი მთავრობების მიზნობრივ მხარდაჭერას, მათთვის საჭირო ექსპერტიზის, წყაროებისა და ტექნოლოგიების მიწოდების გზით. აღნიშნული მათ შორის მოიცავს, შესაბამისი მექანიზმებისა და სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავების მიზნით, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, სამეცნიერო წრეებთან და მთავრობებთან პარტნიორობას, რათა OGP-ის წევრ სახელმწიფოებს ღია მმართველობის ეფექტიანი და ინოვაციური ვალდებულებების შემუშავება და განხორციელება გაუადვილდეთ.

VI ანგარიშგების პროცესები OGP-ში

სამოქმედო გეგმა ორ წლიან პერიოდს მოიცავს, თუმცა გეგმაში ასახული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების ხანგრძლივობა, ვალდებულებების ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა ორ წელიწადზე მეტ ან ნაკლებ პერიოდს მოიცავდეს. ამასთან, თითოეული სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ერთ ან ორ წლიან საკონტროლო კრიტერიუმებს, რათა მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმს (იხ. ქვემოთ) პროგრესის შეფასებისათვის საერთო ვადები ჰქონდეთ განსაზღვრული. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმები მუდმივად იცვლება, სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია სამოქმედო გეგმების განახლება. სამოქმედო გეგმაში შეტანილი ნებისმიერი განახლება აისახება OGP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში, OGP-ის წევრი სახელმწიფოები თვითშეფასების შუალედურ ანგარიშს აქვეყნებენ. აღნიშნული ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს მთავრობების მიერ OGP-ის ვალდებულებების შესრულებისათვის შემუშავებულ სახელმძღვანელო მითითებებს, ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც სახელმწიფო, ისე ინგლისურ ენაზე და ის OGP-ის ვებგვერდზე ქვეყნდება. წლიური თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების ვალდებულება სამოქმედო გეგმის 2 წლიანი შესრულების დასრულებისას ჩნდება.

<u>დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM)</u>: წევრი სახელმწიფოების თვითშეფასების ანგარიშებთან ერთად, მოქმედებს დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი, რომელსაც მმართველობის მკვლევარები შეიმუშავებენ. სასურველია, მკვლევარები OGP-ის თითოეული წევრი სახელმწიფოდან იყვნენ შერჩეული. აღნიშნული მკვლევარები იყენებენ OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის ინსტრუმენტებს და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებსაც საფუძვლად OGP-ის ადგილობრივ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუები და კვლევები უდევს. შემუშავებულ ანგარიშს, შეხედულებების გაზიარებისათვის და კვლევის უმაღლესი სტანდარტების

უზრუნველყოფის მიზნით, შესასწავლად საერთაშორისო ექსპერტების მცირე ჯგუფს გადასცემენ (რომელსაც მმართველი კომიტეტი ნიშნავს). შემდეგ, კომენტარების მისაღებად, ანგარიშის სამუშაო ვერსია OGP-ის შესაბამის მთავრობას გადაეცემა. თითოეული მთავრობისაგან ანგარიშის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით კომენტარების მიღების შემდეგ, OGP-ის ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით, მკვლევარი და საერთაშორისო ექსპერტთა პანელი ასრულებენ პროგრესის დამოუკიდებელ ანგარიშს. ამასთან, OGP-ის წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება საჯაროდ გასცენ ფორმალური პასუხი დამოუკიდებელ ანგარიშზე მას შემდგომ, რაც ის გამოქვეყნდება OGP-ის ვებგვერდზე. პროგრესის დამოუკიდებელი ანგარიშის რეზიუმე საჯაროდ ხელმისაწვდომია როგორც სახელმწიფო, ისე ინგლისურ ენაზე.

IRM-ის მმართველი დოკუმენტია ნიუ იორკში, 2014 წელს, OGP-ის მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის წესდება (დანართი G).

VII დაფინანსება

OGP ნებაყოფლობითი, მრავალმხრივი ინიციატივაა და ის OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ და ასევე საჯარო და კერძო დონორებისაგან მიღებული გრანტებით ფინანსდება. OGP-ის ყველა წევრ სახელმწიფოს სამდივნოს და IRM-ის სასარგებლოდ ყოველწლიური, ფინანსური წვლილი შეაქვს. OGP-ის მმართველი კომიტეტის თანახმად, მოთხოვნილი ფულადი შენატანის რაოდენობა შეესაბამება წევრი სახელმწიფოს შემოსავლის დონეს. შემოსავლის დონე გამოითვლება მსოფლიო ბანკის შემოსავლის კლასიფიკაციის მიხედვით. თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, მთავრობა, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ შეიტანს ფინანსურ წვლილს OGP-ის სასარგებლოდ, ვერ მიიღებს მონაწილეობას OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩევნებში და ვერ ისარგებლებს ხმის მიცემის უფლებით, რომელიც OGP-ის ყველა წევრს გააჩნია. განსაკუთრებულ გარემოებად ითვლება შემთხვევა, როდესაც სამდივნო, მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტთან კონსულტაციის გავლის შედეგად, გამოავლენს ლეგიტიმურ მიზეზებს, რომელთა გამოც მთავრობა ვერ ახერხებს OGP-ის სასარგებლოდ ფინანსური წვლილის შეტანას და რომელთა გადალახვას მთავრობა ერთობლივი ძალისხმევით ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება გამოყონ ფინანსური სახსრები OGP-ის სასარგებლოდ, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ ახერხებს ფინანსური სახსრების გამოყოფას, აღნიშნული არ იწვევს OGP-ში ან მის რომელიმე კომიტეტში მთავრობის წევრობის შეწყვეტას და ასევე არ ახდენს გავლენას OGP-ის ღონისძიებაში მთავრობის მიერ მონაწილეობის მიღებაზე. ფულადი შენატანის განხორციელება როგორც წლიურად, ისე თანხის რამდენიმე წელზე განაწილებით არის დასაშვები.

V ნაწილში მითითებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, OGP მთავრობებისაგან და კერძო სექტორისგან ნებაყოფლობით ფინანსურ დახმარებას და შემოწირულობებს ითხოვს.

OGP-ის სამდივნოსთან არსებული დამოუკიდებელი ერთეული წარმოადგენს OGP-ის ფისკალურ სპონსორს, OGP-ის სახელით ასაქმებს თანამშრომლებს და დონორებისგან ფინანსურ დახმარებას იღებს.

ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი ერთეული ასევე OGP-ის საბანკო ანგარიშებს განაგებს. OGP-ის სამდივნოს აღმასრულებელ დირექტორს ხელმოწერის უფლებამოსილება გააჩნია და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტი ზედამხედველობს. OGP-ის ანგარიშ(ებ)ის გამოყენება მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული OGP-ის მიზნებიდან, ბიუჯეტიდან და სამუშაო გეგმებიდან გამომდინარე ყველა აქტივობისათვის არის დასაშვები. სახსრების გამოყენება ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯებისათვის, აგრეთვე სახელმწიფოების მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობებისათვის არის დასაშვები. 2014 წლიდან, „თაიდს ცენტრი“ (Tides Center) ყოველწლიურად ნიშნავს გარე, დამოუკიდებელ აუდიტორს, რომელიც OGP-ის სამდივნოს ფინანსურ ანგარიშგებას ამოწმებს. აუდიტორი მმართველ კომიტეტს წერილობით ანგარიშს წარუდგენს. ყველა ფინანსური ანგარიშგება და ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია OGP-ის ვებგვერდზე.

VIII. გამჟღავნების პოლიტიკა

OGP თავის საქმიანობას ღიაობის პრეზუმფციის საფუძველზე ახორციელებს. დანართ E-ში მოცემული გამჟღავნების პოლიტიკა ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც OGP-ის სამდივნოს, მმართველი კომიტეტის და ქვეკომიტეტების განკარგულებაშია. ეს პოლიტიკა გულისხმობს ღიაობის უპირობო მხარდაჭერას.

IX. ცვლილებები

წინამდებარე დოკუმენტს ყოველწლიურად განიხილავს მმართველი კომიტეტი, სამდივნოს დახმარებით და დოკუმენტში ცვლილებების შეტანა მმართველი კომიტეტის კონსენსუსის საფუძველზეა დასაშვები.

X. დანართი

დანართი A: სახელმწიფოების ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის დასაშვებობის კრიტერიუმები

OGP-ში გაერთიანების მიზნით, მთავრობები ღიად უცხადებენ მხარდაჭერას OGP-ის ღირებულებებს. ამისთვის, მათ ღია მმართველობის ძირითად პრინციპებზე (მთავრობის რეაგირება, მოქალაქეების ჩართულობა და კორუფციასთან ბრძოლა) დაფუძნებული ეფექტურობის (მინიმალური) კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ. სახელმწიფოების მიერ მიღწეული პროგრესის შესაფასებლად, ობიექტური, გარეშე ინდიკატორები

გამოიყენება. ამასთან, სახელმწიფოების პროგრესის შეფასება ქულების მინიჭებით ხორციელდება. ქულების მინიჭების პროცესი დეტალურად ქვემოთ არის აღწერილი.

OGP-ის ძირითადი კრიტერიუმებია:

1. **ფისკალური გამჭვირვალობა**

არსებითი საბიუჯეტო დოკუმენტების დროული გამოქვეყნება არის საბიუჯეტო ანგარიშვალდებულებისა და ღია საბიუჯეტო სისტემის საფუძველი.

შეფასება: ორივე არსებითი დოკუმენტის (აღმასრულებლის საბიუჯეტო შემოთავაზებისა და აუდიტის ანგარიშის) გამოქვეყნება ორი ქულით ფასდება. შეფასების დროს გამოიყენება საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის მიერ შემუშავებული ღია ბიუჯეტის კვლევის უახლესი ვერსია (2012 წლის ვერსია 100-ზე მეტ სახელმწიფოს მოიცავს).

2. **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

ინფორმაციაზე წვდომის კანონის ხელმისაწვდომობა, რომელიც საზოგადოების მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებასა და სამთავრობო მონაცემებზე წვდომას უზრუნველყოფს, ღია მმართველობის არსისა და პრაქტიკის მთავარი კომპონენტია.

შეფასება: სახელმწიფოში ინფორმაციაზე წვდომის კანონის ხელმისაწვდომობა ოთხი ქულით, ხოლო ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველმყოფელი საკონსტიტუციო ნორმის არსებობა სამი ქულით ფასდება. ერთი ქულით ფასდება ინფორმაციაზე წვდომის კანონის სამუშაო ვერსიის არსებობა. ინფორმაციაზე წვდომის კანონის სამუშაო ვერსიის მოპოვება ხდება ღია საზოგადოების ინსტიტუტის მართლმსაჯულების ინიციატივისა და Access Info Europe-ის თანამშრომლობის შედეგად შექმნილი Right2Info.org-ის მიმოხილვიდან, რომელიც 197 სახელმწიფოს მოიცავს და მუდმივ განახლებას ექვემდებარება.

3. **არჩეულ საჯარო თანამდებობების პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება**

წესები, რომლებიც საჯარო მოხელეების შემოსავლებისა და აქტივების გამჟღავნებას მოითხოვს, კორუფციასთან ბრძოლისა და ღია, ანგარიშვალდებული მთავრობის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. ეს მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

შეფასება: სახელმწიფოში გამჟღავნებისა და ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონის არსებობა – ოთხი ქულით, ხოლო აქტივების გასაჯაროების მარეგულირებელი კანონის არსებობა ორი ქულით ფასდება. აქტივების გასაჯაროების მარეგულირებელი კანონის არარსებობა 0 ქულით ფასდება. აქტივების გასაჯაროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება მსოფლიო ბანკის საჯარო მოხელეთა ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა ბაზიდან ხდება. მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის განახლება და შევსება მსოფლიო ბანკის მიერ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარმოებული გამოკითხვით ხდება.

4. მოქალაქეთა ჩართულობა

ღია მმართველობა მოითხოვს პოლიტიკის შემუშავებასა და მმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობასა და მონაწილეობას.

შეფასება: ეკონომიკური ინტელიგენციის განყოფილების ინდექსის უკანასკნელი ვერსიის სამოქალაქო თავისუფლებების ქვეინდექსის გამოყენებით, რომელშიც მაქსიმალური ქულაა 10, ხოლო მინიმალური – 0, 7.5 ქულის მოპოვების შემთხვევაში, სახელმწიფო 4 ქულით ფასდება, 5 ქულის მქონე სახელმწიფო 3 ქულით ფასდება, 2 ქულით ფასდება სახელმწიფო, რომელმაც 2.5-ზე მეტი ქულა მოიპოვა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სახელმწიფო 0 ქულით ფასდება. დემოკრატიის ინდექსის უკანასკნელი გამოცემა (2012 წლის გამოცემა, რომელიც 2013 წლის მარტში გამოქვეყნდა) 167 სახელმწიფოს მოიცავს.

შეფასების ამ სქემის მიხედვით, სახელმწიფოებს მაქსიმუმ 16 ქულის მოპოვება შეუძლიათ. ზოგიერთი მაჩვენებელი, განსაკუთრებით კი ღია ბიუჯეტის მიმოხილვა, არ მოიცავს ყველა სახელმწიფოს და ზოგი ქვეყნის შეფასება სამი კრიტერიუმის საფუძველზე მიმდინარეობს (რა შემთხვევაშიც, სახელმწიფოს 12 ქულის მოპოვება შეუძლიათ). OGP-ში მონაწილეობის მისაღებად, სახელმწიფოებმა მათთვის ხელმისაწვდომი ქულების მინიმუმ 75% უნდა მოიპოვონ (მაგ. 16-დან 12 ან 12-დან 9 ქულა).

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სახელმწიფოს მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი და ის, რომ მონაცემების განახლებამდე, შესაძლებელია, ამა თუ იმ სახელმწიფომ გააუმჯობესოს საკუთარი მაჩვენებლები, სახელმწიფოებს შეუძლიათ წერილობით მიმართონ OGP-ის თავმჯდომარეებს და პროგრესის ამსახველი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, OGP-ის წევრობა მოითხოვონ.

პერიოდულად, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი განსაზღვრავს, საჭიროებს თუ არა დასაშვებობის კრიტერიუმი (მისი ოთხივე ინდექსი) განახლებას, ცვლილების შეტანას ან სხვა ინდიკატორით შევსებას. საჭიროების შემთხვევაში, მმართველი კომიტეტი და დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი გამოავლენენ ან/და შეიმუშავებენ დასაშვებობის კრიტერიუმის უკეთეს ინდიკატორებს.

დანართი B: OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულები

OGP-ის ყველა წევრ სახელმწიფოს OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება ევალება. სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია კონკრეტული ვალდებულებები, რომლებსაც სახელმწიფოები ორი წლის განმავლობაში ახორციელებენ.

OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მთავრობები განსაზღვრავენ მათთვის პრიორიტეტის მქონე ვალდებულებებს და საკუთარ ძალისხმევას ამ ვალდებულებების შესრულებისაკენ მიმართავენ. ძალისხმევაში მოიაზრება ღია მმართველობის კონკრეტული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს მთავრობების მიერ OGP-ის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. აღნიშნული ვალდებულებების საშუალებით, მთავრობების მიერ

განხორციელებული პრაქტიკა სცდება საბაზისო დონეს და შესაბამისი დიდი გამოწვევის განხორციელებისაკენ მიემართება. დასაშვებია, რომ ვალდებულებები უკვე არსებული ძალისხმევის საფუძველზე შემუშავდეს, რის შედეგადაც მიმდინარე რეფორმების განხორციელებისათვის ახალი ნაბიჯების განსაზღვრა იქნება შესაძლებელი. ამასთან, ვალდებულების შემუშავებითა და აქტივობის განსაზღვრით, შესაძლებელია სრულიად ახალი სფეროს დარეგულირება. ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები თავისი ბუნებით ამბიციურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამბიციურად ჩაითვლება ვალდებულება, რომლის განხორციელების შედეგად, OGP-ის გამოწვევების, მათ შორის, ღიაობის, გამჭვირვალობის, სამოქალაქო ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების მიმართებით და ასევე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ვალდებულების მიმართებით, აშკარა წინსვლა შეინიშნება. უკვე არსებული ვალდებულებების კონტექსტში, ტერმინი „ამბიციური“ გულისხმობს ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული დროის შემცირებას.

OGP აცნობიერებს, რომ ყველა სახელმწიფოს განსხვავებული საბაზისო დონე გააჩნია. სახელმწიფოები ირჩევენ იმ გამოწვევებს და შესაბამის კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლებიც მათ უნიკალურ სახელმწიფო კონტექსტზე ყველაზე კარგად არის მორგებული. დაუშვებელია სახელმწიფოს იძულება მასზედ, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს სამოქმედო გეგმა, სტანდარტული ან კონკრეტული ვალდებულებები.

OGP-ის ხუთი დიდი გამოწვევაა:

1. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება – ზომები, რომლებიც ჯანდაცვის, განათლების, სისხლის სამართლის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეკომუნიკაციების და სხვა შესაბამისი მომსახურებების სფეროში სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. ეს საჯარო მომსახურების დახვეწით და კერძო სექტორში ინოვაციების განხორციელების გზით არის შესაძლებელი.

2. საჯარო ჩართულობის გაზრდა – ზომები, რომლებიც კორუფციის აღმოფხვრისაკენ, საჯარო ეთიკას, ინფორმაციაზე წვდომის, ფინანსური რეფორმების კამპანიების გატარების, აგრეთვე მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული.

3. საჯარო რესურსების უფრო ეფექტიანი მართვა – ზომები, რომლებიც ბიუჯეტის, შესყიდვების, ბუნებრივ რესურსებისა და საგარეო დახმარების უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული.

4. უსაფრთხო გარემოს შექმნა – ზომები, რომლებიც საჯარო უსაფრთხოების, უსაფრთხოების სექტორის, კატასტროფებსა და კრიზისულ მდგომარეობებზე რეაგირების, აგრეთვე ეკოლოგიური საფრთხეების აღმოფხვრის უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული.

5. კორპორაციული პასუხისმგებლობის გაზრდა – ზომები, რომლებიც კორპორაციული პასუხისმგებლობის, სახელდობრ, გარემოს, ანტიკორუფციის, მომხმარებლის დაცვის და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი დიდი გამოწვევის საპასუხოდ შემუშავებული ყველა ვალდებულება უნდა იყოს მოქნილი და პასუხობდეს თითოეული სახელმწიფოს უნიკალურ გარემოებებს, OGP-ის ყველა ვალდებულება ღია მმართველობის ოთხი ფუძემდებლური პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს. ესენია:

გამჭვირვალობა: მთავრობის ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, საქმიანობასა და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაცია) ღია, სრულყოფილი, დროული და საზოგადოებისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ფორმატით დასაშვებია, ინფორმაცია ღია მონაცემების ძირითად სტანდარტებს (მაგ: დაუმუშავებელი მონაცემები) აკმაყოფილებს.

მოქალაქეთა ჩართულობა: მთავრობები მოუწოდებენ მოქალაქეებს ჩაერთონ საჯარო დებატებში, მოახდინონ გავლენა და შეიტანონ საკუთარი წვლილი ინოვაციური და ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბებაში.

საჯარო ანგარიშვალდებულება: წესები, რეგულაციები და მექანიზმები მოუწოდებს მთავრობის წარმომადგენლებს დაასაბუთონ საკუთარი ქმედებები, უპასუხონ მათ მიმართებით გამოთქმულ კრიტიკას, შეასრულონ მათგან მოთხოვნილ ქმედებები და აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით: მთავრობები აცნობიერებენ მოქალაქეებისათვის ტექნოლოგიებზე ღია წვდომის უზრუნველყოფის, ინოვაციების განვითარებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ მოქალაქეების შესაძლებლობების გაზრდის მნიშვნელობას.

მთავრობების მიერ შემუშავებული ვალდებულებები შესაძლოა ვრცელდებოდეს ეროვნული ან/და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შტოზე / სფეროებზე, სადაც ღია მმართველობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ინიციატივებს ყველაზე ფართომასშტაბური შედეგი ექნება.

იმის გათვალისწინებით, რომ ღია მმართველობის ვალდებულებების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე წლიანი პროცესია, მთავრობები შეიმუშავებენ ვალდებულებების განხორციელების ვადებსა და მაჩვენებლებს, რომელთა საშუალებით განისაზღვრება ვალდებულებების შესრულებისათვის გამოყოფილი დრო.

საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციების გაზიარების, აგრეთვე მაღალი სტანდარტების შენარჩუნების მიზნით, OGP-ის ყველა წევრი სახელმწიფო, სხვა მონაწილე მთავრობებთან და, სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, მმართველ კომიტეტთან ერთად, სამუშაო სესიებში იღებს მონაწილეობას. პრეზენტაციებისა და დისკუსიების საშუალებით, ნაკლებად ამბიციური გამოწვევების მქონე მთავრობებს ეძლევათ შესაძლებლობა დროულად აღმოაჩინონ და აღმოფხვრან ხარვეზები. ამასთან, გამოცდილების გაზიარების სესიების საშუალებით, მონაწილეები, კონკრეტული ვალდებულებით განსაზღვრულ სფეროსთან დაკავშირებით, შესაბამისი ექსპერტებისაგან დამატებით გამოხმაურებას იღებენ. ამ პროცესს ხელს უწყობს OGP-ის ქსელური მექანიზმი.

დანართი C: სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე საჯარო კონსულტაციების ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები

OGP-ის წევრი სახელმწიფოები ეროვნულ სამოქმედო გეგმებს მრავალმხრივი პროცესის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მხრიდან აქტიური ჩართულობის საფუძველზე, ავითარებენ. ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის გათვალისწინებით, OGP-ის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან მასზედ, რომ ეროვნულ სამოქმედო გეგმებს შემდეგი პრინციპების საფუძველზე შეიმუშავებენ:

i. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება

- ვადების ხელმისაწვდომობა: კონსულტაციების დაწყებამდე, სახელმწიფოები მათ მიერ დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების ჩატარების ვადების ხელმისაწვდომობას (როგორც მინიმუმ ინტერნეტში) უზრუნველყოფენ;
- ადეკვატური შეტყობინება: კონსულტაციების დაწყებამდე, სახელმწიფოებმა მოსახლეობისათვის წინასწარი შეტყობინების მიწოდება უნდა უზრუნველყონ;
- ცნობიერების ამაღლება: საჯარო კონსულტაციებში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებმა OGP-ის ცნობიერების ამაღლების კამპანიები უნდა განახორციელონ;
- მრავალი არხის გამოყენება: მოქალაქეებისათვის ჩართულობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებმა კონსულტაციები სხვადასხვა მექანიზმის, მათ შორის, ონლაინ და პირადი შეხვედრების საფუძველზე უნდა განახორციელონ;
- კონსულტაციების ჩატარების არეალი: სახელმწიფოებმა კონსულტაციები ეროვნულ საზოგადოებასთან, მათ შორის, სამოქალაქო და კერძო სექტორებთან, უნდა ჩაატარონ. ამასთან, სახელმწიფოები მრავალფეროვან შეხედულებებს უნდა გაეცნონ; და
- დოკუმენტაცია და უკუკავშირი: სახელმწიფოებმა საჯარო კონსულტაციების შედეგები და ინდივიდუალურად მიწოდებული კომენტარები ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ინტერნეტის საშუალებით.

ii. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, კონსულტაციების ჩატარება

- კონსულტაციების ჩატარებაეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას: სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ახალი ან უკვე არსებული ფორუმი, რომლის ფარგლებშიც OGP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი კონსულტაციები ჩატარდება.

სახელმწიფოებმა კონსულტაციაზე გაწეული ძალისხმევა უნდა ასახონ მათ მიერ შემუშავებულ თვითშეფასების ანგარიშებში, ხოლო დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი შეისწავლის ამ პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებას.

დანართი D: ღია მმართველობის დეკლარაცია

ღია მმართველობის დეკლარაცია
2011 წლის სექტემბერი

ჩვენ, ღია მმართველობის პარტნიორობის წევრები, ვაღიარებთ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციითა და ადამიანის უფლებებთან და კარგ მმართველობასთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით განმტკიცებულ პრინციპებს:

ვაცნობიერებთ, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ადამიანები მთავრობების მხრიდან მეტ ღიაობას მოითხოვენ. ისინი საჯარო ურთიერთობებში სამოქალაქო ჩართულობის, მთავრობების გამჭვირვალობის, რეაგირების, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის გაზრდის გზებს ეძებენ.

ვაღიარებთ, რომ მთავრობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მხრივ, სახელმწიფოები, მათ მიერ განხორციელებული მცდელობებით, სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან და თითოეული ჩვენგანი მიდგომებს, ჩვენს ეროვნულ პრიორიტეტებთან და გარემოებებთან, აგრეთვე ჩვენი მოქალაქეების მოლოდინებთან შესაბამისად ვავითარებთ.

ვიღებთ პასუხისმგებლობას მასზედ, რომ მთავრობების ეფექტიანობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, ჩვენ მიერ შემუშავებულ ვალდებულებებს გამჭვირვალობის, კორუფციასთან ბრძოლის, მოქალაქეების ჩართულობისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის გამოვიყენებთ.

მხარს ვუჭერთ მოქალაქეებთან ერთად მომსახურების მიწოდებაში, საჯარო რესურსების გამოყენებაში, ინოვაციის ხელშეწყობასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში ღიაობის პრინციპების გამოყენებას. მხარს ვუჭერთ ჩვენს სახელმწიფოებსა და ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში, კეთილდღეობის და ადამიანის ღირსების მიღწევის მიზნით, გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას.

ერთობლივად ვაცხადებთ ვალდებულებას მასზედ, რომ:

გავზრდით მთავრობების მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მთავრობები მოქალაქეების სახელით აგროვებენ და ინახავენ ინფორმაციას და მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ სამთავრობო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ხელი შევუწყოთ ხელისუფლების ყველა დონეზე სამთავრობო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გასაჯაროებას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას სისტემატურად შევაგროვოთ და გამოვაქვეყნოთ მთავრობის მიერ საჯარო მომსახურებისა და აქტივობების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების თაობაზე. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას პროაქტიულად უზრუნველვყოთ მოსახლეობა მაღალი ხარისხის, მათ შორის დაუმუშავებელი, დროული ინფორმაციით, რომელიც მარტივად საპოვნელი, აღსაქმელი და ხელმეორედ გამოყენებისათვის აუცილებელ ფორმატებში იქნება.

ინფორმაციის ან შესაბამისი ჩანაწერების მიზანშეუწონელი დაკავების შემთხვევაში, ჩვენ, პროცესის ზედამხედველობის გზით, უზრუნველვყოფთ ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებების არსებობას. ჩვენ ვაღიარებთ ღია სტანდარტების მნიშვნელობას საჯარო მონაცემებზე სამოქალაქო საზოგადოების წვდომისა და მთავრობის საინფორმაციო სისტემების თავსებადობის ხელშეწყობის კუთხით. ჩვენ პირობას ვდებთ მასზედ, რომ საზოგადოებისაგან მივიღებთ უკუკავშირს, რათა განვსაზღვროთ, თუ რომელი ინფორმაციაა მათთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე. ამასთან, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული უკუკავშირის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

ხელს შევუწყობთ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას. ჩვენ ვაფასებთ გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა ადამიანის თანასწორ, არადისკრიმინაციულ მონაწილეობას. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობები სარგებელს ადამიანების ცოდნის, იდეების და ზედამხედველობის შედეგად იღებენ, სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალების სრული მონაწილეობა, ზრდის მთავრობების ეფექტურობას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღებისა და სამთავრობო აქტივობების განვითარების, ზედამხედველობისა და შეფასების მიზნით, შევიმუშავებთ და გამოვიყენებთ სხვადასხვა არხებს. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ დავიცავთ არაკომერციული და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას განახორციელონ თავიანთი საქმიანობა ჩვენ მიერ ნაკისრი აზრის გამოხატვის თავისუფლების ვალდებულების შესაბამისად. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას შევიმუშაოთ მექანიზმები, რომლებიც მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნესებს შორის თანამშრომლობას გააღრმავებენ.

ჩვენს ადმინისტრაციაში პროფესიული ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დანერგვა. ეთიკის მაღალი სტანდარტები და საჯარო მოხელეების ქცევის წესები ანგარიშვალდებული მთავრობის წინაპირობას წარმოადგენს. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შესყიდვების დროს, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელს შევუწყობთ მტკიცე ანტიკორუფციული პოლიტიკის, მექანიზმებისა და პრაქტიკის შემუშავებას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ ეროვნული, მაღალი თანამდებობის პირთა შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით, შევინარჩუნებთ ან შევქმნით შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოს.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ მამხილებელთა დაცვის მიზნით, ავამოქმედებთ და გავატარებთ შესაბამის წესებს. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ კონკრეტულ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის გათვალისწინებით, ხელს შევუწყობთ ჩვენი ანტიკორუფციული, ასევე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისა და ეფექტურობის, და მათთან მიმართვის პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ საჯარო და კერძო სექტორებში გავზრდით მექრთამეობისა და კორუფციის სხვა ფორმების შემაკავებელ ფაქტორებს, ამასთან ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ ხელს შევუწყობთ შესაბამისი ინფორმაციისა და ექსპერტიზის გაზიარებას.

ღიაობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ახალი ტექნოლოგიები ინფორმაციის გაზიარების, საჯარო ჩართულობისა და თანამშრომლობის კუთხით ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. იმისათვის, რომ მოსახლეობამ არა მარტო გაიგოს, არამედ უშალო გავლენა მოახდინოს მთავრობების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ჩვენი მიზნად ვისახავთ მეტი ინფორმაციის გასაჯაროებას ამ ტექნოლოგიების გამოყენებით,. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ მომსახურების გაწევის, საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმაციის და იდეების გაზიარების მიზნით, განვავითარებთ ხელმისაწვდომ და დაცულ ონლაინ პლატფორმებს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თანაბრად ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამოწვევას წარმოადგენს და ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ გავზრდით ონლაინ და მობილურ კავშირებს და პარალელურად, განვსაზღვრავთ და ხელს შევუწყობთ სამოქალაქო ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მოსახლეობისათვის მეტი შესაძლებლობების შექმნისა და ხელისუფლებაში გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, წავახალისებთ სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოებებს ეფექტიანი პრაქტიკების და ინოვაციური მიდგომების შემუშავებაში. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაფართოება მთავრობებისა და მოქალაქეების მიერ მის გამოყენების ზრდას იწვევს. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ ხელს შევუწყობთ და განვავითარებთ ხელისუფლების მიერ დასაქმებული მოხელეებისა და მოქალაქეების მიერ ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებას. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ ტექნოლოგია ნათელი, გამოსაყენებელი და სასარგებლო ინფორმაციის დანამატს და არა ჩანაცვლებას წარმოადგენს.

ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, რომ ღია მმართველობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მოითხოვს მუდმივი და მდგრადი ვალდებულების აღებას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ ვიქნებით საჯაროდ ანგარიშვალდებულები ზემოაღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ქმედებების თაობაზე, მათ განხორციელებასთან დაკავშირებით ჩავატარებთ საზოგადოებასთან კონსულტაციებს და ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განვაახლებთ ჩვენს ვალდებულებებს.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების გაზიარებისა და წინამდებარე დეკლარაციით განსაზღვრული ვალდებულებების არასავალდებულო, ნებაყოფლობით საფუძველზე განხორციელების გზით, ხელს შევუწყობთ სხვა სახელმწიფოებში ღია მმართველობის დანერგვას. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ინოვაციისა და პროგრესის ხელშეწყობა და თავის შეკავება ისეთი სტანდარტების შემუშავებისგან, რომლებიც სახელმწიფოების დახარისხების, ან მათთან თანამშრომლობისა და მათთვის დახმარების გაწევის წინაპირობას შექმნის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ყოვლისმომცველი მიდგომის და ინსტიტუციური მშენებლობისა და შესაძლებლობების ხელშეწყობის მნიშვნელობას.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზედ, რომ მათ პრინციპებს ჩვენს საერთაშორისო ჩართულობაში ავსახავთ და ვიმუშავებთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ღია მმართველობის გლობალური კულტურის დამკვიდრებას, რომელიც ძალაუფლებას ანიჭებს მოქალაქეებს და 21-ე საუკუნის მთავრობის ღიაობასა და ჩართულობას ავითარებს.

დანართი E: ღია მმართველობის პარტნიორობის გამოქვეყნების პოლიტიკა

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პოლიტიკა: OGP, მისი ღიაობის პრეზუმფციის ფარგლებში, საკუთარ ონლაინ პლატფორმაზე პროაქტიულად აქვეყნებს მის ხელთ არსებულ დეტალურ, ორიგინალ ინფორმაციას. შეძლებისდაგვარად, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება ღია, გამოყენებისთვის მოსახერხებელ, მანქანის მიერ წაკითხვად ფორმატებში. ნებისმიერს აქვს უფლება თავისუფლად გამოიყენოს OGP-ის მიერ შემუშავებული ინფორმაცია, იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია ექვემდებარება Creative Commons 3.0-ის არაპორტირებად ლიცენზიას.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას წარმოადგენს:

ფინანსური მხარდაჭერა:

- დონორები: *OGP-ის ყველა ფინანსური კონტრიბუტორი, მათ შორის კონტრიბუტორები როგორც მთავრობიდან, ისე კერძო ფონდებიდან.*
- რაოდენობები: *დონორებისგან ან არაგრეგირებულ საფუძველზე (დონორების მიხედვით) მიღებული დაფინანსებების სრული რაოდენობა.*
- ვადები: *თითოეული დონორის ფინანსურ კონტრიბუციასთან დაკავშირებული საგრანტო პერიოდი.*
- წლიური ბიუჯეტი/ხარჯები: *OGP-ის წლიური ბიუჯეტი — OGP-ის მმართველობის და ლიდერობის ქვეკომიტეტის და მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით —კატეგორიების და ხარჯების მიხედვით დანაწევრებული.*

მმართველობა:

- მმართველობის სტრუქტურა და პოლიტიკა.
- მმართველი კომიტეტის და ქვეკომიტეტების წევრების სახელები, თანამდებობები და კავშირები.
- მმართველი კომიტეტის შეხვედრა, ქვეკომიტეტის შეხვედრა, და OGP-ის ღონისძიებათა თარიღები: *აღნიშნული ინფორმაცია OGP-ის ვებგვერდზე არსებულ კალენდარში ქვეყნდება მაშინვე, როგორც კი ცნობილი ხდება.*
- მმართველი კომიტეტის შეხვედრა და OGP-ის ღონისძიების დღის წესრიგი: აღნიშნული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრის ან/და ღონისძიების ჩატარებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე. საბოლოო დღის წესრიგი ქვეყნდება დაუყოვნებლივ შეხვედრის ჩატარების შემდეგ.
- მმართველი კომიტეტის, ქვეკომიტეტის შეხვედრების და OGP-ის ღონისძიების მონაწილეები*: აღნიშნული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება* OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრის ან/და ღონისძიების ჩატარებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე. მონაწილეების საბოლოო სია ქვეყნდება დაუყოვნებლივ შეხვედრის ჩატარების შემდეგ.

- მმართველი კომიტეტის, ქვეკომიტეტის შეხვედრების და OGP-ის ღონისძიების სხდომის ოქმები: აღნიშნული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, ქვეყნდება შესაბამისი შეხვედრიდან/ღონისძიებიდან 2 კვირის განმავლობაში.
- მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტები და პოლიტიკა: აღნიშნული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, ქვეყნდება შესაბამისი შეხვედრიდან/ღონისძიებიდან 2 კვირის განმავლობაში.
- OGP-ის ფისკალური სპონსორის საგადასახადო დეკლარაცია: აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც საგადასახადო დოკუმენტაცია ყოველწლიურად მზადდება და გადაეცემა აშშ-ის მთავრობას.
- წლიური აუდიტორული ანგარიშები: აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება დაუყოვნებლივ OGP-ის მმართველი კომიტეტის მიერ ყოველ წელს საბოლოოს აუდიტორული ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

განხორციელება და მასთან დაკავშირებული აქტივობები:

- OGP-ის ყველა წევრი მთავრობის სახელები და მათი განზრახვის წერილები: აღნიშნული ინფორმაცია ახალი სახელმწიფოსგან განზრახვის წერილის მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში ქვეყნდება.
- მთავრობის თვითშეფასების ანგარიში: *OGP-ის განხორციელების სრული ერთი წლის შემდეგ, თითოეული სახელმწიფოს ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება, ხოლო ყოველი ორი წლის შემდეგ, ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი სამდივნოს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ხდება.*
- დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი: *თითოეული სახელმწიფოს შეფასება საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება OGP-ის განხორციელების სრული ერთი წლიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა (გამონაკლის დამფუძნებელი ოთხი სახელმწიფო წარმოადგენს, რომელთა დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის მიერ შემუშავებული ანგარიშები 2013 წლის სექტემბერში იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი). თითოეული სახელმწიფოსათვის დამოუკიდებელი თვითშეფასების მექანიზმის ანგარიშების შემუშავების პირველი რაუნდის შემდეგ, დამოუკიდებელი თვითშეფასების მექანიზმი გადაინაცვლებს ორწლიან კალენდარში და ყველა ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება OGP-ის ვებგვერდზე.*

ოპერაციები:

- *OGP-ის სამდივნოს და დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის პერსონალის წევრების სახელები და თანამდებობები.*
- OGP-ის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმწოდებლები და ხარჯები: *აღნიშნული ინფორმაცია უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მიმწოდებლის სახელს და ადგილმდებარეობას, პროექტის ზოგად აღწერას და მიახლოებით/მთლიან ღირებულებას.*

ინფორმაცია:

- OGP-ის ხელთარსებული ყველა ჩანაწერის, მათ შორის დოკუმენტების და მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი.
- მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერ პირზე გაცემული ინფორმაცია.
- მონაცემები ყველა ინფორმაციის მოთხოვნაზე და პასუხზე;
- პოლიტიკის მონახაზებსა და სხვა დოკუმენტებზე უკუკავშირის გზით მიღებული ყველა კომენტარი.

<u>ინფორმაციის მოთხოვნა:</u> OGP-ისგან ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ, მათ შორის იურიდიულ პირს. ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ონლაინ არსებული საკონტაქტო ფორმის, ფოსტის ან ელფოსტის **(info@opengovpartnership.org)** საშუალებით. მოთხოვნებს განიხილავს OGP-ის სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა გაგზავნილია სხვა პირის სახელზე, ხდება აღნიშნული მოთხოვნის ზემოხსენებულ პირზე გადამისამართება. ინფორმაციის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს საკმარის სპეციფიკაციას იმისათვის, რომ პერსონალმა მოახდინოს მისი შინაარსობრივი განსაზღვრა, რათა შემდგომ მიაწოდოს გამომთხოვს შესაბამისი ინფორმაცია (აღნიშნულისთვის დასაშვებია ელ-ფოსტის გამოყენება). საზოგადოება უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია და ინფორმაციის გამომთხოვებს უნდა მიეწოდოთ მიღების დასტური და მოთხოვნის წაყენების უნიკალური კოდი.

იმ შემთხვევაში, თუ გამომთხოვს მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები აქვს (როგორიცაა შეზღუდული ქმედუნარიანობა ან წერა-კითხვის არცოდნა), ან თუ მოთხოვნა არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, OGP-ის სამდივნო გამომთხოვს გონივრულ დახმარებას უწევს.

მოთხოვნა შესაძლოა ეხებოდეს ინფორმაციას ან/და კონკრეტულ ჩანაწერს. OGP არ იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ მოთხოვნაზე პასუხის გაცემის მიზნით დაიწყებს ინფორმაციის შეგროვებას, თუმცა, დატვირთვის გათვალისწინებით (მაგ: როდესაც აღნიშნული იწვევს ორგანიზაციის მიერ ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის ხელის შეშლას), გონივრული ძალისხმევის ფარგლებში, ის გეგმავს მის ხელთარსებული ჩანაწერებიდან ინფორმაციის შეგროვებას.

ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხის გაცემა 10 სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება. თუ ინფორმაციის გამომთხოვი განსაზღვრავს იმ ფორმატს, რომლითაც სურს ინფორმაციის მიღება, OGP, გონივრული ძალისხმევის ფარგლებში, ინფორმაციას მოთხოვნილ ფორმატში წარადგენს.

ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციისათვის, ქსეროასლების პირველი 100 გვერდისთვის, მოთხოვნისთვის, რომელიც მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარეობს, ან იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გამომთხოვს არ ძალუძს საფასურის გადახდა, ინფორმაციის წარდგენა უფასოდ ხორციელდება. 100 გვერდზე მეტი რაოდენობის ქსეროასლებზე დაწესებულია გადასახადი 3 ევროს ოდენობით ერთი გვერდისთვის, იმ პირობით, რომ აღნიშნული მოსაკრებელი გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ მოსაკრებლის რაოდენობა აღემატება გადასახადის რაოდენობას ან იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადახდასთან დაკავშირებული სირთულეები.

ინფორმაციის გამომთხოვებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოიყენონ OGP-ის მიერ შემუშავებული და მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და აღნიშნულზე ვრცელდება მხოლოდ Creative Commons 3.0 არაპორტირებადი ლიცენზიით განსაზღვრული შეზღუდვა.

<u>უკუკავშირი პოლიტიკის პროექტებზე</u>: OGP აქტიურად გეგმავს ინიციატივის პრაქტიკასთან დაკავშირებით შემუშავებულ პოლიტიკის პროექტების თაობაზე (როგორიცაა OGP-ის გასაჯაროების პოლიტიკა) საზოგადოებასთან უკუკავშირი დაამყაროს. აღნიშნული პოლიტიკა, საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღებისათვის მინიმუმ 30 დღიანი ვადის განსაზღვრით, ქვეყნდება ონლაინ, ყველა შესაბამის ენაზე. ყველა კომენტარი და კონსულტაციის მიღების მიზნით გასაჯაროებული დოკუმენტის საბოლოო ვერსია საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ყველა დოკუმენტი, რომელიც განხილვისათვის და დამტკიცებისთვის წარდგენილია მმართველ კომიტეტში, მაგრამ არ ექვემდებარება წინასწარ საჯარო კონსულტაციას (მაგალითად, OGP-ის მმართველი კომიტეტის შიდა მმართველობის ოქმები), ქვეყნდება საბოლოო დოკუმენტის სახით OGP-ის ვებგვერდზე.

<u>სრული გასაჯაროების გამონაკლისები</u>: OGP სრულად გამჭვირვალე და პროაქტიული გამჟღავნების სისტემის შექმნას ისახავს მიზნად. თუმცა, გარკვეული ინფორმაცია შესაძლოა ჩაითვალოს კონფიდენციალურად და არ იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, მაგრამ დროის მხოლოდ იმ პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ გამონაკლისებზე ვრცელდება:

- ინფორმაცია, რომელიც OGP-მ მესამე მხარისგან, კონფიდენციალურად მიიღო და რომლის გასაჯაროება გამოიწვევს, ან სავარაუდოდ გამოიწვევს ზემოხსენებული მესამე მხარის ლეგიტიმური ინტერესის (როგორიცაა კომერციული ან უსაფრთხოების ინტერესი) დაზიანებას;

- ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება გამოიწვევს პირის უსაფრთხოების ან დაცულობის ზიანს ან დაარღვევს მისი კონფიდენციალურობის უფლებას;

- ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება დემონსტრაციულად შეაფერხებს თავისუფალ და გულწრფელ პოლიტიკურ დიალოგს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მთავრობებთან, დონორებთან, თემებთან და პარტნიორებთან;

- სამართალწარმოების შედეგად მიღებული ინფორმაცია (ლეგალურად პრივილეგირებული ინფორმაცია);

- წინასწარი გადაწყვეტილების პოლიტიკის დოკუმენტები, რომელთა გასაჯაროება სერიოზულად შეაფერხებს აღნიშნული პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებას.

აღნიშნულ გამონაკლისებზე, მეორე გამონაკლისის გამოკლებით, ვრცელდება 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. გამონაკლის შემთხვევებში, სპეციფიური და დამაჯერებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის კონფიდენციალურობა შესაძლოა 5 წელს გასცდეს. იმ შემთხვევაში, თუ გასაჯაროების საერთო საზოგადოებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამონაკლისებით განსაზღვრული ინტერესების ზიანი, OGP ასაჯაროებს აღნიშნულ ინფორმაციას.

იმ შემთხვევაში, თუ გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ ინფორმაციის ნაწილზე, ინფორმაციის დანარჩენი ნაწილი საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება.

იშვიათ შემთხვევებში, როდესაც OGP ვერ აკმაყოფილებს ინფორმაციის მოთხოვნას, ის, მოთხოვნაზე პასუხის გაცემისათვის ზემოთ დადგენილ ვადებში, კონკრეტულ გამონაკლისზე მითითებითა და უარის გასაჩივრების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებით, წარმოადგენს ნათელ დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ ახერხებს ინფორმაციის გაცემას. OGP-ის უფლება აქვს უარყოს განმეორებითი მოთხოვნები.

<u>საჩივრები</u>**:** ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია რომ მოცემული პოლიტიკის პირობები არ იქნა დაცული, რაც მოიცავს განცხადების საპასუხოდ ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმას, უფლება აქვს გასაჩივრებას დაქვემდებარებული აქტის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში საჩივრით მიმართოს მმართველი კომიტეტის სრულ შემადგენლობას. იმ პირობით, რომ მმართველ კომიტეტში შემოსული ზოგიერთი საჩივარი უსაფუძვლოა და ასეთი საჩივრები მოკლე განხილვას ექვემდებარება, მმართველი კომიტეტი ისმენს მომჩივანის განმარტებებს და საჩივარზე გადაწყვეტილებას 30 დღის განმავლობაში იღებს.

მმართველი კომიტეტი აყალიბებს სამი გარე ექსპერტისაგან დაკომპლექტებულ პანელს, რომელიც მმართველი კომიტეტის წინააღმდეგ შემოტანილ საჩივრებს განიხილავს. ასეთი საჩივრების წარდგენა პანელისთვის 30 დღის განმავლობაში ხორციელდება, ხოლო პანელი მათ მიღებიდან 45 დღის განმავლობაში განიხილავს.

<u>ენები</u>**:** მიუხედავად იმისა, რომ OGP აღიარებს მრავალმხრივ ინიციატივაში რამდენიმე ენების გამოყენების საჭიროებას, დაფუძნებასთან, საკადრო უზრუნველყოფასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, OGP-ის საჯარო ვებგვერდი პირველად ენად ინგლისურს იყენებს. ძირითადი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე ქვეყნდება და სამდივნო, შეძლებისდაგვარად, ამ დოკუმენტებს ასევე თარგმნის პორტუგალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. OGP ასევე მოუწოდებს ინიციატივაში მონაწილე მთავრობებსა და თანამოაზრე ორგანიზაციებს მასზედ, რომ მათ, შესაბამისი კრედიტებისა და საავტორო უფლებების მითითებით, თარგმნონ OGP-ის ვებგვერდზე განსათავსებელი დოკუმენტები.

<u>ხელშემწყობი ზომები</u>**:** OGP მიზნად ისახავს მოცემული პოლიტიკა მისი პერსონალისა და მენეჯმენტის შეფასებაში დაამკვიდროს. ის ასევე იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ არ დააწესებს სასჯელსა და სანქციებს იმ პერსონალზე, რომელიც კეთილსინდისიერად, პოლიტიკის შესაბამისად ან დასაბუთებული რწმენით, რომ ინფორმაციის გაცემის შედეგად გამჟღავნდება დანაშაულებრივი ქმედება, გასცემს ინფორმაციას.

OGP-ის სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორი ან სხვა დამხმარე თანამდებობის პირი, პასუხისმგებლები არიან აღნიშნული პოლიტიკის სათანადო განხორციელების უზრუნველყოფაზე. ისინი ვალდებულებების პროაქტიულ გამოქვეყნებასა და მოცემულ წესებთან შესაბამისად მოთხოვნების დამუშავებას უზრუნველყოფენ.

OGP შეიმუშავებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც არსებული პოლიტიკის განხორციელების თაობაზე განახლებულ ინფორმაციას მოიცავს. განახლებული ინფორმაცია ასახავს პროაქტიული გამოქვეყნებისა და მოთხოვნებზე (მათ შორის, მოთხოვნების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის, ასეთი მოთხოვნების რაოდენობის,

მათზე გაცემული პასუხების მითითებით) პასუხის გაცემის კუთხით OGP-ის მიერ გაწეულ ძალისხმევას.

დანართი F: OGP-ის რეაგირების პოლიტიკა

OGP-ის ღირებულებებისა და პრინციპების დაცვის პოლიტიკა, ღია მმართველობის პარტნიორობის დეკლარაციის შესაბამისად

მიღებულია OGP-ის მმართველი კომიტეტის მიერ 2014 წლის 25 სექტემბერს

დასაბუთება:

2011 წლის სექტემბერში მისი დაფუძნებიდან OGP-ის წევრი სახელმწიფოების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით 65 შეადგინა. აღნიშნული მსოფლიოს გარშემო OGP-ის მიმართ მზარდ ინტერესსა და OGP-ის, როგორც მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაკავშირებისა და იდეების გაცვლის ნებაყოფლობით მექანიზმად აღიარებას ასახავს. ორგანიზაციის სანდოობის შენარჩუნების – მისი გრძელვადიანი მომავლის უზრუნველყოფის – მიზნით მნიშვნელოვანია, წევრმა სახელმწიფოებმა დაიცვან OGP-ის ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც მოცემულია ღია მმართველობის დეკლარაციასა და სახელმძღვანელო პრინციპებში.

OGP-ში წევრობაზე სახელმწიფოს დასაშვებობის განხილვისას, OGP-ის სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვენ, რომ კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტმა მმართველ კომიტეტს წარუდგინოს რეკომენდაცია. აღნიშნული მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც *„სახელმწიფოები ახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც ძირს უთხრის OGP-ის ღირებულებებსა და პრინციპებს.“* ეს პირობა ემატება სახელმწიფოს დასაშვებობის შეფასებაში განხორციელებულ ცვლილებას და IRM-ის ანგარიშით გამოვლენილ ფაქტებს.

სახელმწიფოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ შეუერთდნენ OGP-ის ან შეინარჩუნონ მათი წევრობა, თუ ისინი გარკვეული დონით ავლენენ ბიუჯეტის გამჭვირვალობას, სამთავრობო ინფორმაციაზე წვდომას, აქტივების გამჟღავნებას და მოქალაქეების ჩართულობას. წევრ სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ მათი ეროვნული სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, რასაც IRM-ი აფასებს.

OGP-ის სრულფასოვანი წევრობისათვის, ყველა მონაწილე სახელმწიფო ღია მმართველობის დეკლარაციას უნდა შეუერთდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ღია მმართველობის დეკლარაციაზე შეერთება ხორციელდება არასავალდებულო, ნებაყოფლობით საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები იმყოფებიან სამთავრობო ღიაობის უზრუნველყოფის სხვადასხვა საფეხურზე და თითოეული იყენებს იმ მიდგომას, რომელიც მის ეროვნულ პრიორიტეტებთან, მოქალაქეების მოლოდინებთან შესაბამისობაშია, დეკლარაცია

„არაკომერციული და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საქმიანობის ჩვენი გამოხატვის თავისუფლების ვალდებულებასთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობის“ ვალდებულებას მოიცავს.

ამასთან, OGP-ის 2015-2018 წლების სტრატეგიის დოკუმენტის ცვლილების თეორია ხაზს უსვამს ჩართულობითი, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მისთვის გამოყოფილი ადგილისა და სამოქმედო გეგმაზე გავლენის მოხდენის უნარის მქონე სამოქალაქო საზოგადოების არსებობის მნიშვნელობას.

ზემოხსენებული ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, OGP დადებით ინტერვენციებს წააქეზებს, თუმცა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის OGP-ის წევრ სახელმწიფოებში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელების მაჩვენებლების შემცირება შეინიშნება. ეს ტრენდი OGP-ისთვის შემაშფოთებელი შედეგების მომტანია.

შესაბამისად, ღია მმართველობის დეკლარაციასთან წინააღმდეგობაში მოსულ ქმედებებზე რეაგირების პოლიტიკა OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაცვისთვისაა შემუშავებული, თუმცა ის არ აწესებს რაიმე დამატებით მოთხოვნებს. მისი მიზანია განახორციელოს იქ ქმედებები, რომლებიც:

ა) სახელმწიფოს სირთულეების გადალახვას და მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარემოს თავიდან შექმნას შეუწყობს ხელს; და

ბ) დაიცავს ღია მმართველობის დეკლარაციას და შეამცირებს OGP-ის რეპუტაციასთან დაკავშირებულ რისკებს.

<u>როგორ წარმოვადგინოთ მოთხოვნა იმის თაობაზე, განახორციელა თუ არა OGP-ის წევრმა სახელმწიფომ ისეთი ქმედება, რომელიც ძირს უთხრის OGP-ის ღირებულებებსა და პრინციპებს:</u>

არსებობს სამი გზა იმისათვის, რომ წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად, კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტში წარდგენილ იქნას მოთხოვნა:

1. მმართველი კომიტეტის წევრი – მთავრობის ან სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან – წარუდგენს კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს საკითხს, რომელიც მოიცავს დეტალებს ქვეყნის შესახებ და დასაბუთებას.

2. OGP-ის ერთ-ერთი მრავალმხრივი პარტნიორი ან სამუშაო ჯგუფის თანაწამყვანი წარუდგენს კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს საკითხს, რომელიც მოიცავს დეტალებს ქვეყნის შესახებ და დასაბუთებას.

3. OGP-ის მმართველი კომიტეტი ან სამდივნო სამოქალაქო საზოგადოებისგან, OGP-ში ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ჩართული არაკომერციული ორგანიზაციისგან, ან მედია ორგანიზაციისგან იღებს წერილს, რომელიც მოიცავს დეტალებს ქვეყნის შესახებ და დასაბუთებას.

<u>პრობლემის რელევანტურობის განსაზღვრის პროცესი:</u>

შესაბამისი წყაროდან მიღებული საკითხის რეგისტრაციის შემდეგ, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი, რომელიც OGP-ის სამდივნოსთან ერთობლივად მუშაობს, აფასებს პრობლემის არსს. აღნიშნული პროცესის პირველი საფეხურია განსახილველი პრობლემის აქტუალურობა. პრობლემის აქტუალურობას OGP-ის სამდივნო კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტის წევრებთან ერთობლივად აფასებს. შეფასება შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. საკითხის არსიდან გამომდინარე, მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, IRM-ის მკვლევარებთან და მესამე მხარეებთან, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციულ ერთეულებთან, ინფორმაციის სიზუსტის დადგენა.

2. ღია მმართველობის დეკლარაციასთან და ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო პრინციპებთან მიმართებით პრობლემის რელევანტურობის განსაზღვრა – რაშიც იგულისხმება, რომ საკითხი უშუალოდ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ OGP-ის პრინციპების დაცვას და შესაბამისად, კითხვის ქვეშ აყენებს მის მონაწილეობას OGP-ში.

3. OGP-ის წინა მონაცემების, მათ შორის, IRM-ის სახელმწიფოს შეფასების ბოლო შედეგების შემოწმება (აღნიშნული მოიცავს ეროვნული კონტექსტის სექციას).

4. შეფასება იმისა, მოჰყვება თუ არა OGP-ის ჩარევას სასურველი შედეგი სახელმწიფოსთვის ან აუცილებელია თუ არა ის OGP-ის მიმართ ნდობის შესანარჩუნებლად.

ზემოთჩამოთვლილი საფეხურების გავლის შემდეგ, OGP-ის სამდივნო განმარტების მისაღებად, წერილობით მიმართავს OGP-ის საკონტაქტო პირს სახელმწიფოში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი განმარტება დამაკმაყოფილებელია კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტისათვის და ადასტურებს იმას, რომ პრობლემის გადაჭრა ადგილობრივ დონეზე ხორციელდება, არ არსებობს სხვა ზომების მიღების აუცილებლობა. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი წერილი და განმარტება აისახება სამდივნოს მოკლე ანგარიშში და შემდგომი კომენტარების და განხილვებისთვის კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტში ვრცელდება. ანგარიში პროცესში გამოყენებული ინფორმაციის სრულ სიას უნდა მოიცავდეს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კონსენსუსის მიღწევა, ანგარიშის მიღების თაობაზე კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტში შესაძლებელია კენჭისყრის ჩატარება. კენჭისყრის ჩატარებისათვის დამსწრეთა აუცილებელი რაოდენობა ორ მესამედს წარმოადგენს. კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტში განხორციელებული შეფასების და განხილვის პროცესი არ უნდა სცილდებოდეს 20 სამუშაო დღეს.

<u>საკითხები, რომლებმაც შესაძლებელია შეშფოთება გამოიწვიონ:</u>

დროთა განმავლობაში, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი შეიმუშავებს OGP-ისთვის აქტუალური საკითხების განსაზღვრისათვის აუცილებელი ფაქტორების და ზომების ჩამონათვალს. იმ საკითხების განსაზღვრის მიზნით, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი დროულად აქვეყნებს აღნიშნული საკითხების განსაზღვრისათვის აუცილებელი ფაქტორების სიას.

წინამდებარე პოლიტიკის განხორციელების დაწყებით საფეხურზე, ქვეკომიტეტი შეიმუშავებს მოქნილ, თემატურ მიდგომას იმ საკითხებზე, რომელთა განხილვაც შესაძლებელია საჭირო გახდეს. ზოგიერთი საკითხი, რომელიც წარსულში წამოიჭრა მმართველი კომიტეტის წინაშე და საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოში მიმდინარე OGP-ის პროცესებს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- ახალი/განახლებული პოლიტიკის ან ქმედებების განხორციელება, რომლებიც მოქალაქეების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინფორმაციაზე წვდომას საგრძნობლად ამცირებენ.

- ახალი/განახლებული პოლიტიკის ან ქმედებების განხორციელება, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებლად მუშაობის, კრიტიკის გამოთქმის ან/და ადგილობრივი ან საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობას (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის მიღება).

- მთავრობების მიერ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით OGP-ის პროცესებით მანიპულაცია (მაგ: კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევა).

- ახალი/განახლებული პოლიტიკის ან ქმედებების განხორციელება, რომლებიც საგრძნობლად ხელყოფს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებებს.

- ახალი/განახლებული პოლიტიკის ან ქმედებების განხორციელება, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებს ინტერნეტში ან მის მიღმა მედიის თავისუფლებას ან საფრთხეს შეუქმნის მედია მფლობელობას და დამოუკიდებლობას.

<u>შეშფოთებაზე რეაგირების პროცესი:</u>

კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტის მიერ შეშფოთების გამოთქმის შემდეგ, OGP-ის მმართველ კომიტეტში ვრცელდება შეტყობინება, რომელიც კომიტეტის წევრებს გადაწყვეტილებას აცნობებს. მმართველი კომიტეტის სრული შემადგენლობის თანხმობის გარეშე, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტს, თანათავმჯდომარეებს, OGP-ის სამდივნოსა და მმართველი კომიტეტის სხვა დაინტერესებული წევრებს პირველი საფეხურის შემდეგი ქმედებების განხორციელება შეუძლიათ:

1. მთავრობასთან დიპლომატიურ საქმიანობაში ურთიერთქმედება ან შუამავლობა ოფიციალურ ან/და პოლიტიკურ დონეზე, მათ შორის, თანათავმჯდომარეების მხრიდან.

2. სამდივნოს მიერ სახელმწიფოში OGP-ის საკონტაქტო პირისათვის წერილის გაგზავნა იმის თაობაზე, რომ კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტმა პრობლემასტან დაკავშირებით ანგარიში შეიმუშავა (OGP-ის საკონტაქტო პირი უკვე ინფორმირებული უნდა იყოს სამდივნოს მიერ იმის თაობაზე, რომ პრობლემასთან დაკავშირებით გამოძიებაა დაწყებული).

3. პრობლემის მოგვარების მიზნით, თანამშრომლობის შეთავაზება;

4. პრობლემის მოგვარების მიზნით, სახელმწიფოში მომუშავე მრავალმხრივ პარტნიორებთან დაკავშირება;

5. პრობლემის მოგვარების მიზნით, სახელმწიფოსათვის სამუშაო გეგმისა და განრიგის შესამუშავებლად, სახელმწიფოში არსებული OGP-ის საკონტაქტო პირის კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტთან ერთობლივად მუშაობის განხორციელების მიზნით მოწვევა.

სამდივნოს ან OGP-ის მრავალმხრივი პარტნიორების მიერ შემოთავაზებული დახმარება ღია მმართველობის დეკლარაციისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ხორციელდება და, შესაბამისად, სტანდარტები არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევისა ან მისი შეფასების წინაპირობას.

იმ შემთხვევაში, თუ საფეხური 1-ის ჩარევას არ მოჰყვება სასურველი შედეგი, ან სამი თვის განმავლობაში სიტუაცია (სამუშაო გეგმისა და განრიგის შემუშავების შემდეგაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გამოსწორდება, კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი OGP-ის მმართველი კომიტეტის სრულ შემადგენლობას ქვემოთ მოცემული საფეხური 2-ის ქმედებებიდან ერთ-ერთს სთავაზობს:

1. რეკომენდაციით მიმართავს OGP-ის თანათავმჯდომარეებს მასზედ, რომ მათ მმართველი კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე მთავრობის ხელმძღვანელი მოიწვიონ. აღნიშნულ სხდომაზე არსებული სიტუაცია და სახელმწიფოს მიერ OGP-ში მონაწილეობის შედეგები განიხილება.

2. რეკომენდაციით მიმართავენ OGP-ის თანათავმჯდომარეებს მასზედ, რომ მათ წერილით მიმართონ სახელმწიფოს და აცნობონ, პრობლემის მოგვარებამდე, მისი OGP-ის წევრობის დროებით არააქტიურად ცნობის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა დროებით არააქტიურად იქნება მიჩნეული, მას არ აქვს უფლება უკან მოსთხოვოს OGP-ის მიმდინარე ფინანსურ წელს მის მიერ გადახდილი მოსაკრებელი.

საპასუხო პოლიტიკის ყველა ნაბიჯი OGP-ის გამჟღავნების პოლიტიკის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

<u>OGP-ის ოფიციალური ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები:</u>

კრიტერიუმების და სტანდარტების ქვეკომიტეტი:

- სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე უფლებამოსილია სახელმწიფოს მიერ OGP-ის წევრობის განხილვის პროცესს უხელმძღვანელოს;
- ხელი მოაწეროს სამდივნოს მიერ შეშფოთებასთან დაკავშირებით შემუშავებულ ანგარიშს;
- განახორციელოს საფეხური 1-ის ქმედებები;
- რეკომენდაციით მიმართოს მმართველი კომიტეტის მთლიან შემადგომლობას, იმ შემთხვევაში, თუ პრობლემის გადაჭრისათვის რეკომენდირებულია საფეხური 2-ის ქმედებების განხორციელება, თუმცა სახელმწიფოს მიერ არ ხდება აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

მმართველობისა და ლიდერობის ქვეკომიტეტი/თანათავმჯდომარეები:

- სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე უფლებამოსილია ისაუბროს OGP-ის სახელით და შესაბამისად, ჩართული უნდა იყოს დიპლომატიურ ურთიერთობებში და ნებისმიერ ჩარევაში, რომელშიც მმართველი კომიტეტი იღებს მონაწილეობას.

სამდივნო:

- შეიმუშავებს პირველად პრობლემასთან დაკავშირებით ანგარიშებს;
- მართავს პროცესს.

მმართველი კომიტეტი:

- მხარს უჭერს საფეხური 1-ის ქმედებებს;
- მართავს საფეხური 2-ის საბოლოო ეტაპს, მათ შორის, სახელმწიფოს დროებით უმოქმედოდ გამოცხადებისა ან სახელმწიფოს მიერ OGP-ის წევრობაზე რაიმე სხვა გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM):

- პრობლემის თაობაზე ანგარიშში გამოყენებული ინფორმაციის წყარო.

დანართი G: დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის (IRM) წესდება

I. ზოგადი მიმოხილვა

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) წარმოადგენს ძირითად საშუალებას, რომლითაც ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა თვალი ადევნოს OGP-ის წევრი სახელმწიფოების პროგრესს და ასევე განავითარონ ანგარიშვალდებულება მონაწილე მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის. IRM-ი მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის, OGP-ის სანდოობისა და ეროვნული სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული

ვალდებულებების განხორციელებისათვის ანგარიშვალდებულების დანერგვის ძირითად საშუალებაა. IRM-ი აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს, რომლებიც OGP-ის თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესს აფასებს. IRM-ი OGP-ის სახელით ანგარიშების სანდოობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობის პროცესს ხელმძღვანელობს.

IRM-ი აფასებს OGP-ის თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების, ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის პროცესს და შეიმუშავებს ტექნიკურ რეკომენდაციებს. თითოეულ სახელმწიფოში, სახელგანთქმული ადგილობრივი მკვლევარები წარადგენენ საერთო კითხვარს, რომელიც ზემოთ აღნიშნულ საკითხებს აფასებს. IRM-ის სახელმწიფოსთან დაკავშირებული ანგარიშები შემუშავებულია აღნიშნული მკვლევარების მიერ და OGP-ის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, შესაბამისი მონაცემების ანალიზებსა და მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს ეფუძნება.

IRM-ის OGP-ის წევრი მთავრობების და სხვა დაინტერესებული მხარეების ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, OGP-ის სახელმძღვანელო პრინციპები წინამდებარე პროგრამას განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს. OGP-ის 2014-2018 წლების სტრატეგია განსაზღვრავს რიგ მმართველ პრინციპებს (ამ დოკუმენტის დამატება), რათა უზრუნველყოს ამ პროგრამის მიერ ზუსტი და მიუკერძოებელი ანგარიშების შემუშავება, OGP-ის სამდვინოსთან და მმართველ კომიტეტთან ერთობლივად, IRM-ის ანგარიშების პარტნიორობის განვითარებისა და გამოცდილების მიღებისათვის გამოყენების პარალელურად.

ერთ-ერთი ძირითადი დებულება არის ის, რომ IRM-ს ზედამხედველობს საერთაშორისო ექსპერტთა პანელი (IEP), რომელიც წარედგინება ღია პროცესის საფუძველზე და OGP-ის მმართველი კომიტეტის მიერ აირჩევა. საერთაშორისო ექსპერტთა პანელი სხვადასხვა რეგიონებიდან წარმოდგენილი და სხვადასხვა თემატიკის საკითხებზე მომუშავე 10 ექსპერტისაგან არის დაკომპლექტებული. ტექნიკურ საკითხებსა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ექსპერტებს საჯარო წარდგენის საფუძველზე OGP-ის მმართველი კომიტეტი ირჩევს. OGP-ის მიერ ურთიერთმხარდაჭერის ვალდებულების შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტთა პანელი ხელს შეუწყობს ხარისხიანი შეფასების და კვლევის უმაღლესი სტანდარტების გამოყენებას მასზედ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პარტნიორობის სანდოობა. ამავდროულად, ის OGP-ის პროცესების გაძლიერების შესაძლებლობას და ვალდებულებების ეროვნულ განხორციელებას განსაზღვრავს.

ქვემოთ მოცემულია IRM-ის სტრუქტურა:



IRM-ის თითოეული ანგარიშის შინაარსობრივი მხარე და შემუშავების მეთოდოლოგია გარე ზემოქმედებისგან დაცულია. ანგარიშებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ექსპერტთა პანელი, IRM-ის პროგრამის თანამშრომლები და ინდივიდუალური ავტორი იღებენ. აღმასრულებელ დირექტორს და სამდივნოსა და მმართველი კომიტეტის თანამშრომლებს არ გააჩნიათ ანგარიშზე ვეტოს დადების უფლებამოსილება. ანგარიშის პირველადი ვერსიის შედგენის შემდეგ, მას თავდაპირველად ექსპერტთა პანელი განიხილავს. ამასთან, კომენტარებისა და გამოხმაურების მიღების მიზნით, ანგარიშის პირველადი ვერსია წევრ მთავრობებს ეგზავნებათ. ანგარიშის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე ასევე მოქმედებს ღია კომენტარების დატოვების პერიოდი. მთავრობებს არ გააჩნიათ IRM-ის ანგარიშების შინაარსობრივ მხარეზე ვეტოს გამოყენების უფლებამოსილება, თუმცა ანგარიშის პირველადი ვერსიის განხილვა ფაქტობრივი შეცდომების გამოსწორებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას იძლევა. ექსპერტთა პანელისა და მთავრობის მიერ განხილვის შემდეგ, ექსპერტთა პანელი, ხარისხის კონტროლის მიზნით, თითოეული სახელმწიფოს ანგარიშებს ცალ-ცალკე განიხილავს, აგვარებს ყველა არსებულ პრობლემას და ანგარიშს OGP-ის ვებგვერდზე ინგლისურ და საქმისწარმოების სხვა ენაზე/ენებზე აქვეყნებს. ამის შემდგომ ხდება საჯარო კომენტარების მიღება, რომლებიც შესაძლოა ანგარიშის საბოლოო ვერსიაში აისახოს.

II. IRM-ის მმართველობა

საერთაშორისო ექსპერტთა პანელი

ხარისხის კონტროლის კრიტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ექსპერტთა პანელი, OGP-ის ვალდებულებების შესრულებისა და შესრულებაზე ანგარიშვალდებულების, აგრეთვე ანგარიშის წარდგენის გამჭვირვალობის

უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშავებს და განაახლებს IRM-ის სახელმძღვანელო პრინციპებს.

- **წევრობა:** ექსპერტთა პანელი OGP-ის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რეგიონებიდან მრავალფეროვნების პრინციპით არჩეული და ღია მმართველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თემატიკის მქონე საკითხებზე მომუშავე ექპერტებისგან შედგება. პანელის წევრობისათვის არ არის სავალდებულო, რომ პანელის წევრი OGP-ში მონაწილე სახელმწიფოდან მოდიოდეს.

- **რაოდენობა:** ექსპერტთა პანელი 10 ტექნიკური მრჩევლისგან, საზედამხედველო ფუნქციის მქონე 5 წევრისაგან და მხარდამჭერი, ხარისხის მაკონტროლებელი 5 წევრისაგან შედგება, რომელთა პოზიციები როტაციის პრინციპს ეფუძვნება.

- **კვალიფიკაცია:** ფუნქციების კომპლექსურობის და შესაფასებელი სახელმწიფოების რაოდენობის გამო, ტექნიკურ მრჩევლებს უნდა გააჩნდეთ ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის შესაბამისი გამოცდილება და აგრეთვე სამოქალაქო ჩართულობის არეალები სხვადასხვა რეგიონში. ამასთან, ტექნიკურ მრჩევლებს მრავალეროვანი კვლევითი პროექტების მართვის გამოცდილება უნდა ჰქონდეთ.

- **ვალდებულებები:** მათ გააჩნიათ შემდეგი ვალდებულებები:

  ა) მკვლევარებისათვის ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების და ანგარიშგების ნიმუშის შემუშავება;

  ბ) დამოუკიდებელი ანგარიშების შედგენისათვის თითოეულ წევრ სახელმწიფოში ადგილობრივი მკვლევარების განსაზღვრის მიზნით, IRM-ის პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობა;

  გ) სახელმწიფოების პირველადი ანგარიშების განხილვა და ექსპერტთა პანელის, ასევე მთავრობების განხილვის შედეგების გათვალისწინების მიზნით ადგილობრივ მკვლევარებთან მუშაობა;

  დ) ანგარიშის გამოქვეყნებაზე საბოლოო თანხმობის გაცემა;

  ე) OGP-ის წევრი სახელმწიფოებისაგან და აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან საჩივრების განხილვის სანდო და გამჭვირვალე სისტემის შემუშავებაში IRM-ის პერსონალისათვის დახმარების გაწევა.

  ვ) ექსპერტთა პანელის რეგულირებულ შეხვედრებზე დასწრება. აღნიშნული შეხვედრები წელიწადში მინიმუმ ორჯერ ტარდება.

- **უფლებამოსილება:** ექსპერტთა პანელი, საერთო გადაწყვეტილებით, უფლებამოსილია არ გამოაქვეყნოს IRM-ის რომელიმე ანგარიში, რომელიც მისი შეხედულებით გამოქვეყნებისათვის არასათანადოდ არის შედგენილი. ამასთან, ექსპერტთა პანელი უფლებამოსილია არ დაატანოს IRM-ის აღმნიშვნელი ლოგოები IRM-ის პერსონალის მიერ შემუშავებულ წერილობით დოკუმენტებზე, რომლებიც არ იქნა განხილული პანელის მიერ.

- **უფლებამოსილების შეზღუდვა:** ექსპერტთა პანელი არ არის უფლებამოსილი IRM-ში მმართველობითი ცვლილებები შეიტანოს. ექსპერტთა პანელი, IRM-ის საზედამხედველო შემადგენელი ნაწილის უფლებამოსილების ფარგლებში, არ არის

უფლებამოსილი თანამდებობა დაატოვებინოს IRM-ის პროგრამის დირექტორს ან მიიღოს მონაწილეობა ახალი დირექტორის არჩევაში.

- **კანდიდატურის წარდგენა და დანიშვნა:** IRM-ს ზედამხედველობს საერთაშორისო ექსპერტთა პანელი, რომლის წევრები ღია, საჯაროდ ხელმისაწვდომი პროცესის შედეგად, OGP-ის მმართველი კომიტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატურის საფუძველზე ინიშნებიან. კანდიდატურის წარდგენა ხორციელებდა ფართო საზოგადოებიდან, საერთაშორისო ექსპერტთა პანელიდან და OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრებიდან. საერთაშორისო ექსპერტთა პანელს გააჩნია კანდიდატურის წარდგენის და რეკომენდაციების გაწევის სპეციალური უფლებამოსილება. ამასთან, პანელი კანდიდატურის წარდგენის პროცესის მოთხოვნებს, თითოეული კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებს და კანდიდატების მოკლე სიას განსაზღვრავს/ამზადებს. IRM-ის პროგრამის ხელმძღვანელი, კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტისათვის რეკომენდაციების წარდგენის მიზნით, ექსპერტთა პანელთან იმუშავებს. კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტი, მმართველი კომიტეტის სრული თანხმობის მიღების მიზნით, წარმოადგენს კანდიდატებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

- **ვადები:** ექსპერტთა პანელის წევრობის თავდაპირველი ვადა ორ წელიწადს შეადგენს. დასაშვებია მისი ერთი წლით გაგრძელება. ექსპერტთა პანელის წევრები აღნიშნულ პოზიციას 2 წლის განმავლობაში, ხოლო „დამსახურებული განმხილველების“ სტატუსში ერთი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ. დამსახურებული განმხილველის პერიოდის განმავლობაში, ისინი განიხილავენ ანგარიშებს და საკუთარ ცოდნას ექსპერტთა პანელის ახალ წევრებს უზიარებენ. წევრთა მაქსიმალური რაოდენობა 10-ს შეადგენს.

- **ვადების განახლება და ხელშეკრულების შეწყვეტა:** ექსპერტთა პანელის წევრები საკუთარი საქმიანობის შეფასების ნათელ, საჯარო კრიტერიუმებს შეიმუშავებენ. შეფასებას, სამდივნოს აღმასრულებელ დირექტორთან ერთად, IRM-ის პროგრამის დირექტორი ყოველწლიურად განახორციელებს. შეფასების შედეგები კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტს გადაეცემა. ვადების განახლების შემთხვევაში, IRM-ის პროგრამის დირექტორი აღმასრულებელ დირექტორს ვადების განახლების რეკომენდაციას წარუდგენს. წლიური ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში, IRM-ის დირექტორი აღმასრულებელ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას და აცნობებს კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტს ხელშეკრულების შეწყვეტისა ან ვადის გასვლის თაობაზე. აღმასრულებელი დირექტორი სამართლებრივად ვალდებულია შეწყვიტოს ექსპერტთა პანელის შესაბამისი წევრის ხელშეკრულება. მმართველი კომიტეტის წევრები არ არიან უფლებამოსილები თანამდებობიდან გადააყენონ ექსპერტთა პანელის მოქმედი წევრები.

- **თანამდებობიდან გადადგომა, თანამდებობის დატოვება და ჩანაცვლება:** ვადის დასრულებამდე თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ეცნობება IRM-ის პროგრამის დირექტორს და ასევე კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტს. 2 წელზე მეტი ხანგრძლივობის უმოქმედობის შემთხვევაში, IRM-ის პერსონალის მიერ ჩატარებული სათანადო იურიდიული ექსპერტიზის შემდეგ, IRM-ის პროგრამის დირექტორი უფლებამოსილია ექსპერტთა პანელს მიმართოს რეკომენდაციით მასზედ, რომ წევრი თანამდებობიდან გადადგომილად ჩაითვალოს.

- **კომპენსაცია:** ტექნიკური მრჩეველები მიიღებენ კომპენსაციას მათი დახარჯული დროისთვის, აგრეთვე მოხდება მათი ხარჯების ანაზღაურება.

დამოუკიდებელი ანგარიშის მექანიზმის პროგრამული დირექტორი და თანამშრომლები

დამოუკიდებელ ანგარიშის მექანიზმს (IRM) მართავს სრულ განაკვეთზე მომუშავე პროგრამული დირექტორი, რომელსაც მხარს უჭერენ შესაბამისი თანამშრომლები. ადმინისტრირებასა და სანდოობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო ყველა მსგავსი პოზიცია განთავსებულია მხარდამჭერი განყოფილების ქვეშ, თუმცა შინაარსობრივად ანგარიშვალდებულნი არიან საერთაშორისო ექსპერტთა პანელის (IEP) წინაშე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აზრისა და გამოხატვის დამოუკიდებლობა. IRM-ის პროგრამული დირექტორი არ იქნება ანგარიშვალდებული კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტთან, თუმცა შეინარჩუნებს ძლიერ სამუშაო ურთიერთობას ქვეკომიტეტის წევრებთან, რათა მმართველი კომიტეტი ინფორმირებული იყოს პროგრესის თაობაზე.

IRM-ის პროგრამული დირექტორი ანგარიშვალდებულია მხარდაჭერის ერთეულის აღმასრულებელ დირექტორთან. ამ მხრივ, აღმასრულებელი დირექტორი დაიქირავებს IRM-ის პროგრამულ დირექტორს და აფასებს მის საქმიანობას (IEP-დან და კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით), აწარმოებს IRM-ის პროგრამის ფისკალურ და ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, და უზრუნველყოფს იმას, რომ IRM-ის პროგრესის ანგარიშები გამოყენებული იყოს OGP-ის მასშტაბით სწავლებისა და გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

IRM-ის პროგრამული დირექტორის პასუხისმგებლობები მოიცავს:

1. მიმდინარე საქმიანობისთვის IEP-ის მოწვევა პირადად, და/ან ტელეფონით ან სხვა საშუალებებით, გარემოებების შესაბამისად;
2. ეროვნული მკვლევრების იდენტიფიცირების პროცესის მხარდაჭერა და განახლება;
3. ეროვნული მკვლევრების დაქირავება OGP-ის მონაწილე თითოეულ ქვეყანაში;
4. IRM-ის საანგარიშო ფორმის შემუშავება, განახლება და პრაქტიკაში დანერგვა;
5. ეროვნული მკვლევრებისთვის დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავება, და მათთვის ტრენინგის, ქოუჩინგისა და უკუკავშირის მიწოდება, საჭიროებისამებრ;
6. მექანიზმების იდენტიფიცირება და გაფართოება, რაც დაეხმარება ეროვნულ მკვლევრებს IRM-ისთვის ინფორმაციის შეგროვებაში OGP-ის წევრ თითოეულ ქვეყანაში;
7. ყველა ანგარიშის დროულად და თანმიმდევრულად გამოქვეყნება;
8. კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტისთვის და მმართველი კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდება, საჭიროებისამებრ;
9. IEP-ისთან ერთად ანგარიშების გადახედვა და დასრულება;

10. IRM-ის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ, შესაბამისი სასწავლო პროდუქტების შემუშავება, რაც მოიცავს მმართველ კომიტეტთან თანამშრომლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლება გამოიყენება OGP-ის მისიის მისაღწევად.

მართალია სამართლებრივად პროგრამების დირექტორის გადადგომა ან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მიზეზით და გაფრთხილების გარეშე, რაც საბოლოოდ დამოკიდებულია OGP-ის აღმასრულებელ დირექტორზე, IEP კონფიდენციალურად მიიღებს ინფორმაციას დასაქმების შეწყვეტის მიზეზების შესახებ.

OGP-ის მმართველი კომიტეტის კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტი

OGP-ის მმართველი კომიტეტის კრიტერიუმებისა და სტანდარტების (C/S) ქვეკომიტეტი მონაწილეობს IEP-ის შერჩევისა და შემოწმების პროცესში. ეს მოიცავს შერჩევის კრიტერიუმების იდენტიფიცირებას, კრიტერიუმების დადასტურებას მმართველი კომიტეტის მხრიდან, ნომინანტების შერჩევა და ინტერვიუების ჩატარება ნომინირების ღია პროცესის შედეგად, IEP-ის პანელის წევრების შესახებ საბოლოო რეკომენდაციების მიწოდება კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტისთვის სრული შემადგენლობისთვის დასადასტურებლად.

კრიტერიუმებისა და სტანდარტების კომიტეტი შეიმუშავებს დეფინიციებსა და სახელმძღვანელო წესებს OGP-ის დასაშვებობის კრიტერიუმების, საანგარიშო მოთხოვნებისა და IRM-ის დასკვნების შედეგებზე (მაგ. ნეგატიური IRM ანგარიშის შედეგების განსაზღვრა).

ბოლოს, C/S ქვეკომიტეტი შეინარჩუნებს საზედამხედველო ფუნქციას IRM-ზე, რისი მიზანიც არის იმის უზრუნველყოფა, რომ IEP, IRM-ის თანამშრომლები და ეროვნული მკვლევრები აქვეყნებდნენ საკუთარ ანგარიშებს, აღწევდნენ დასახულ მიზნებს და მათი ანგარიშები ინარჩუნებს ხარისხისა და სიზუსტის მაღალ სტანდარტს. „საზედამხედველო ფუნქცია“ აქ განიმარტება როგორც „IRM-ის სტატუსზე ზედამხედველობა, უშუალოდ მასში ჩართვის გარეშე“.

არა უმეტეს ორ წელიწადში ერთხელ C/S ქვეკომიტეტი გადახედავს და აუცილებლობის შემთხვევაში განაახლებს IRM-ის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტს, და მიაწვდის ოფიციალურ სახელმძღვანელო პრინციპებს IEP-სა და IRM-ის თანამშრომლებს, მმართველი კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში.

ეროვნული მკვლევრები

IRM-ის ეროვნული მკვლევრების დაქირავება ხდება ღია პროცესის შედეგად, გამჭვირვალე საჯარო კრიტერიუმებზე დაყრდნობით. კანდიდატების წინასწარი შერჩევა მოხდება ღია კონკურსის გზით, კვალიფიკაციის იმ ფართო ჩამონათვალზე დაფუძნებით, რაც განისაზღვრება IRM-ის პროგრამული დირექტორის მიერ, IEP-ის ზედამხედველობით. თითოეული ქვეყნის ეროვნული მკვლევრების საბოლოოდ შესარჩევად IRM-ის პროგრამული დირექტორი ზედამხედველობს პროცესს ინტერვიუების ჩატარების, რეკომენდაციების შემოწმებისა და IEP-ის ტექნიკურ

ექსპერტებთან მუშაობის გზით. ეროვნული ექსპერტების შესარჩევი დამატებითი კრიტერიუმები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი.

რამდენადაც შესაძლებელია, ეროვნული მკვლევრები უნდა იყვნენ იმ ქვეყნიდან, და მუშაობდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც შეისწავლიან. კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- სამუშაო გამოცდილება აკადემიურ ან საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსაქვეყნებელი კვლევის ჩატარების დემონსტრირებული გამოცდილება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე;
- საჯარო პოლიტიკის ისეთ საკითხებზე მუშაობის კონკრეტული გამოცდილება, როგორიცაა მმართველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება ან ზოგადად სამოქალაქო ჩართულობა, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან და კერძო სექტორთან მუშაობისა და მათი ჩართულობის გამოცდილება; და
- დემონსტრირებული უნარ-ჩვევები და სურვილი იმისა, რომ ითანამშრომლონ დაინტერესებული მხარეების ფართო წრესთან არაპარტიული და ობიექტური გზით.

მართალია მთავრობებს არ ექნებათ ვეტოს უფლება კონკრეტული ექსპერტების ნომინირების პროცესში, მათ ექნებათ შესაძლებლობა წარადგინონ თავისი მოსაზრება ეროვნული მკვლევრების კანდიდატების წინასწარ შერჩეულ სიაზე, იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რაც შეიძლება ქმნიდეს ინტერესთა კონფლიქტს ან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს რომელიმე კანდიდატის კვალიფიკაციას.

აუცილებლობის შემთხვევაში, IRM-ს შეეძლება სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართვა პროცესში, ეროვნული მკვლევრების კანდიდატების წინასწარ შერჩეულ სიაზე უკუკავშირის მისაღებად.

IRM-ი უზრუნველყოფს საჯაროდ ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოს IRM-ის პროცედურებისა და მეთოდის შესახებ.

მთავრობები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები IRM-ში

კვლევის პროცესში ეროვნული მკვლევრები გამოიყენებენ მრავალ მეთოდს მონაცემების შესაგროვებლად. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შეგროვება ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მხრიდან ყოვლისმომცველი უკუკავშირის მისაღებად. სულ მცირე, ეს პროცესი მოიცავს იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ჩართულები არიან OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. შესაბამისი ძალისხმევა იქნება მიმართული იმათთან დასაკავშირებლად, ვინც პირდაპირ არის დაინტერესებული სამოქმედო გეგმის ვალდებულებებში. ამ პროცესების შედეგად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ სამოქმედო გეგმის ფოკუსი, განვითარება და პროგრესი.

მთავრობები ასევე მოწვეულნი იქნებიან IRM-ის ანგარიშების სამუშაო ვერსიის გადასახედად, სანამ ანგარიშები დასრულებულ სახეს მიიღებს. მართალია მთავრობებს არ

ექნებათ ვეტოს უფლება ამ ანგარიშების არც ერთ ნაწილთან მიმართებით, მაგრამ მათ ექნებათ შესაძლებლობა, დაამატონ ინფორმაცია, განმარტებები ან რაიმე სხვა სახის მტკიცებულებები, რასაც IRM-ის ექსპერტები გაითვალისწინებენ ანგარიშის საბოლოო სახით გამოქვეყნებამდე. გამოქვეყნების შემდეგ OGP-ის ვებგვერდზე იქნება დამატებითი შესაძლებლობა უფრო ფართო საზოგადოების მხრიდან კომენტარების მისაღებად.

თითოეული ქვეყანა მაქსიმალურად გამოიყენებს IRM-ის რეკომენდაციებს მიმდინარე სამოქმედო გეგმების შესრულების გასაუმჯობესებლად; ამას გარდა, ქვეყნები ანგარიშის სახით მიაწვდიან საკუთარ პოზიციებს IRM-ისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის უახლოეს ციკლის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ OGP-ის ერთ-ერთი ვალდებულება პარტნიორებს შორის მხარდაჭერაა, ამ ქვეყნებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ OGP-ის პარტნიორების საგანმანათლებლო აქტივობებით OGP-ის საკუთარი ვალდებულებებისა და IRM-ის რეკომენდაციების გაანალიზებისა და განხორციელების პროცესში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა

OGP თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით ღიაობას ეფუძნება. მმართველობის მუხლების დანართ E-ში მოცემული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა ეხება ყველა იმ ინფორმაციას, რაც არის დაცული OGP-ის მხარდაჭერის ერთეულის, მმართველი კომიტეტისა და ქვეკომიტეტების მიერ, ან მათთვის, და უპირატესობას უნდა ანიჭებდეს ღიაობას, ნაცვლად გასაიდუმლოებისა. OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა შემუშავდა OGP-ის საზოგადოების მიერ და მოიცავს ყველა სახის ინფორმაციას, რაც არის დაცული OGP-ის მხარდაჭერის განაყოფის, მმართველი კომიტეტისა და ქვეკომიტეტების მიერ.

IRM იცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი პოლიტიკის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ზოგად პოლიტიკაში გათვალისწინებული გამონაკლისები, რასაც შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს IRM-ის ადმინისტრაციისთვის:

1. OGP-ის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომელზეც არსებობს კონფიდენციალურობის გამოკვეთილი მოლოდინი;

2. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების შემთხვევაში აშკარა ზიანი მიადგება პიროვნების უსაფრთხოებას ან დაცულობას, ან დაირღვევა მისი უფლებები ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;

3. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც, OGP-ის შეხედულებით, აშკარად შეზღუდავს პოლიტიკის საკითხებზე ღია დიალოგს მთავრობებთან, დონორებთან, საზოგადოებასთან ან პარტნიორებთან;

4. გადაწყვეტილების მიღების წინა შიდა პოლიტიკური დოკუმენტები, რაც არ არის განკუთვნილი საჯარო კონსულტაციისთვის. გადაწყვეტილების მიღების წინა შიდა პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც არ არის განკუთვნილი საჯარო კონსულტაციისთვის, შეინახება არქივში და მისი გამოთხოვნა შესაძლებელი გახდება სამი წლის შემდეგ.

III. IRM-ის ანგარიშგება

მიზნები

IRM-ის ანგარიშების მიზანია მოქალაქეებსა და მათ მთავრობებს შორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება, და იმის უზრუნველყოფა, რომ მთავრობები სათანადოდ ასრულებენ სამოქმედო გეგმებში მიღებულ ვალდებულებებს, ისევე როგორც OGP-ის პროცედურულ მოთხოვნებს. არსებითად, ანგარიშები წარმოადგენს მოცემული მომენტისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმის განვითარებისა და შესრულების პროცესის სურათს.

IRM-ის ანგარიში ყოველწლიურად მზადდება თითოეული მონაწილე ქვეყნის მთავრობისთვის. ანგარიშები გამოქვეყნდება საჯარო კომენტარებისთვის თითოეული სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიდან 7 თვის შემდეგ. შუალედური პროგრესის ანგარიშები წარმოადგენს სწავლის შესაძლებლობას სამოქმედო გეგმის შემდგომი განახლების მომენტისთვის, და არა მხოლოდ სამოქმედო გეგმის საბოლოო განხორციელებისთვის. ყოველი ორწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ მომზადებული შედარებით მოკლე ანგარიშები წარმოადგენს თითოეული მონაწილე OGP ქვეყნის ანგარიშვალდებულების მიმოხილვას მოცემული პერიოდის ბოლოსთვის.

IRM-ს თავის საქმიანობაში ეხმარება შემდეგი „სახელმძღვანელო პრინციპები“:

1. დამოუკიდებელი ანგარიშები შემუშავდება გამჭვირვალე, ობიექტური, ჩაურეველი, მიუკერძოებელი და არაპოლიტიკური გზით. IRM-ის მკვლევრებს ექნებათ წვდომა გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირებთან შესაფასებელ ქვეყნებში.

2. დამოუკიდებელი ანგარიშები ხელს შეუწყობს ღია მმართველობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით იმით, რომ ისინი წაახალისებენ დიალოგს მოქალაქეებსა და შესაბამის მთავრობებს შორის და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის გააზიარებენ ქვეყნის სამოქმედო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, მიღწევებსა და გამოწვევებს.

3. IRM-ისთვის წარმატების მთავარი საზომი იქნება (1) საჯარო დიალოგი IRM-ის დასკვნების შესახებ მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; (2) იყო თუ არა გათვალისწინებული წინა ანგარიშების რეკომენდაციები, და რა ხარისხით.

4. IRM-ის ანგარიშები არ განსაზღვრავს თანამშრომლობის, დახმარების ან ქვეყნებისთვის რეიტინგის მინიჭების წინაპირობებს.

5. მეთოდოლოგიის შემუშავებისას IRM-ისა და IEP-ის საქმიანობა იქნება ღია და მონაწილეობითი, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვით.

ანგარიშების მასშტაბი

IRM-ის ანგარიშები ხაზს გაუსვამს სამოქმედო გეგმის ამოცანების მიღწევის წარმატებებს, დეტალურად ასახავს შესაძლებლობებს, გამოწვევებსა და სისუსტეებს OGP-ის ვალდებულებებისა და პროცესის კუთხით და მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს გასაუმჯობესებლად. IRM-ი შეეცდება იმ სახით მოამზადოს ანგარიშები, რომ ისინი

შესაბამისობაში იყოს სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ მონიტორინგთან და სხვა დაკავშირებულ მრავალმხრივ მექანიზმებთან.

შესაბამისად, IRM-ის ანგარიშები მოიცავს რამდენიმე სფეროს, განსაკუთრებული აქცენტი კი გაკეთებული იქნება სამოქმედო გეგმების განვითარებასა და შესრულებაზე:

- რამდენად ასახავს სამოქმედო გეგმა და მისი ვალდებულებები ქვეყნისთვის შესაბამის OGP-ის ღირებულებებს, როგორიცაა გამჭვირვალეობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ჩართულობა, ღია მმართველობის დეკლარაციისა და მმართველობის მუხლების შესაბამისად.

- შესაბამის შემთხვევებში IRM-ის ანგარიშები ასახავს მოცემული ქვეყნის OGP-ში მონაწილეობის ისეთ ქმედებებსა და ღონისძიებებს, რაც თავდაპირველად არ იყო ასახული სამოქმედო გეგმაში.

- რამდენად მისდევენ მთავრობები OGP-ის პროცესის მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს საკუთარი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, მმართველობის მუხლების დანართ G-ს შესაბამისად.

- თითოეული ვალდებულების, ისევე როგორც მთლიანად სამოქმედო გეგმის გადმოცემისა და განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესი, მთავრობის მიერ საკუთარ სამოქმედო გეგმაში ასახული ეტაპების შესაბამისად.

- ტექნიკური რეკომენდაცია იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლიათ ქვეყნებს თითოეული ვალდებულებისა და მთლიანად სამოქმედო გეგმის განხორციელების გაუმჯობესება, ასევე, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება OGP-ის ღირებულებებისა და პრინციპების უკეთ რეალიზება, OGP-ის მმართველობის მუხლებისა და ღია მმართველობის დეკლარაციის შესაბამისად. რეკომენდაციები მოიცავს ყველა ზემოთაღნიშნულ პუნქტს.

- 2012 წლის სექტემბერში OGP-მ გადაწყვიტა მეტად წაეხალისებინა მონაწილე მთავრობები, მიეღოთ ისეთი ვალდებულებები, რაც გაცდებოდა მათ ამჟამინდელ პრაქტიკას OGP-ის კრიტერიუმების შესრულებასთან დაკავშირებით. 2014 წლიდან მოყოლებული IRM-ი ასახავს იმ ნაბიჯებს, რასაც ქვეყნები გადადგამენ საკუთარი სამოქმედო გეგმების ფარგლებში OGP-ის კრიტერიუმების შესრულების კუთხით საკუთარი პროგრესის გასაუმჯობესებლად. OGP-ის მხარდაჭერის ერთეულის მიერ კრიტერიუმების ყოველწლიური მიმოხილვა დარჩება მთავარ უფლებამოსილ ორგანოდ იმის გადასაწყვეტად და იმაზე სამსჯელოდ, თუ რამდენად თანხვედრაშია ქვეყნის პრაქტიკა OGP-ის კრიტერიუმებთან. IRM-ის ანგარიშში უფრო შეზღუდული სახის დისკუსია იქნება იმ კონტექსტის შესახებ, რაც ყოველწლიურად ქვეყნის დონეზე კონკრეტული კრიტერიუმის პროგრესს ან რეგრესს ახლავს თან, და დაფუძნებული იქნება მოქალაქეებისგან მიღებულ უკუკავშირზე.

- დაწყებული მეორე წლის შეფასებიდან, ანგარიშებში უნდა იყოს ერთი ნაწილი, რომელშიც საუბარი იქნება წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა განხორციელდება ამ დოკუმენტში მოყვანილი პრინციპების შესაბამისად.

ანგარიშის მომზადების ზოგადი მიდგომა

IRM-ის ანგარიშების შაბლონებში მოცემული იქნება ზემოთაღნიშნული კრიტერიუმები. IEP-ი იმუშავებს ეროვნულ მკვლევრებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი მკაცრად იცავენ ამ სახელმძღვანელო პრინციპებს საკუთარი ანგარიშების მომზადებისას. IEP-ი აწესებს და განაახლებს ხარისხზე დაფუძნებულ სახელმძღვანელო პრინციპებს IRM-ის ანგარიშების მოსამზადებლად, იმისთვის, რომ ანგარიშებში ასახული იყოს როგორც მიღწევები და საუკეთესო პრაქტიკა, ისე გამოწვევები და მნიშვნელოვანი სისუსტეები ზემოთაღნიშნულ სფეროებში.

IRM-ის ანგარიშების მიზანია, იყოს შემავსებელი და დამხმარე რესურსი თითოეულ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესში, და უზრუნველყოს სასარგებლო რეკომენდაციები მთავრობის მიერ ამ ვალდებულებების შესრულების გასაუმჯობესებლად. მაგალითად:

1. ანგარიშების მოსამზადებლად კვლევა ჩატარდება ისეთი სახით, რომ მოცული იყოს ქვეყნის სხვადასხვა საჯარო და კერძო დაინტერესებული მხარეების შეხედულებები, რომლებიც ჩართულნი არიან, ან რომლებზეც ზეგავლენას ახდენს, ან რომელთაც აინტერესებთ ქვეყნის სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება.

2. ეროვნული მკვლევრები იმუშავებენ კულტურის, ქვეყნის და კონტექტსის შესაბამისი გზით, იმისათვის, რომ მოიპოვონ ინფორმაცია და ჩართონ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე დამოუკიდებელი ანგარიშების შემუშავების პროცესში.

3. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ქვეყნის შიგნით ყველა განსხვავებული აზრის ასახვა დამოუკიდებელ ანგარიშებში, IEP-ი შეეცდება გამოიყენოს რელევანტური ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ყველა არსებული მექანიზმი.

4. IRM-ი მოუსმენს და გაითვალისწინებს მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი მრავალმხრივი მონიტორინგის მიმდინარე შედეგებს:

- ანგარიშები მომზადდება ისეთი სახით, რაც ხელს შეუწყობს ადვილ მონიტორინგსა და დროში შედარებას, მაგ. ვალდებულებების მიხედვით; რეკომენდაციების მიხედვით.

- ანგარიშები დაიწერება ისეთი სახით, რომ ადვილად გასაგები იყოს თითოეული ქვეყნის ფართო საზოგადოებისთვის. OGP-ის მმართველობის მუხლების შესაბამისად, IRM-ის ანგარიშები საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც ეროვნულ ადმინისტრაციულ ენაზე/ენებზე, ისე ინგლისურად.

IRM-ის ანგარიშების შემუშავებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩატარებული კონსულტაციები. IRM-ის ერთ-ერთი უმთავრესი როლია რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის მოსმენა და ამ შეხედულებების, მთავრობებისგან მიღებული ინფორმაციის (მათ შორის თვითშეფასების ანგარიშების) და IEP-ის ექსპერტიზის გათვალისწინებით საერთო შეფასების გაკეთება. სადაც შესაძლებელი იქნება, IRM-მა უნდა უზრუნველყოს შეფასების მიგნებებზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კომენტარების შესაძლებლობა, როგორც ანგარიშის გამოქვეყნებამდე, ისე გამოქვეყნების შემდეგ.

IRM-ის ანგარიშის რეზიუმეები

IRM-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს რეზიუმე, IEP-ის მიერ განსაზღვრულ ზოგად ფორმატში. რეზიუმეს საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქვეყნებს შორის შედარებების გაკეთება და დროის განმავლობაში პროგრესის ნახვა IRM-ის ანგარიშების სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად, რაც ზევით არის მოცემული. რეზიუმე ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს ფართო საერთაშორისო საზოგადოებისთვის, როგორც შინაარსის, ისე ვიზუალური მხარის კუთხით. რეზიუმეში გადმოცემული უნდა იყოს IRM-ის ანგარიშის მოკლე, ვიზუალურად მიმზიდველი და შინაარსობრივი მიმოხილვა. IRM-ის რეზიუმე წარმოადგენს საფუძველს ქვეყნების მიღწევების სწრაფი შეფასებისთვის, დროში და სხვა ქვეყნებთან შედარებით.

გამოქვეყნება

- დამოუკიდებელი ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ეროვნულ ადმინისტრაციულ ენაზე/ენებზე და ინგლისურ ენაზე.
- საბიუჯეტო შეზღუდვებისა და თარგმნის ხარჯების, ისევე როგორც სამოქმედო გეგმების სიგრძის გათვალისწინებით, პროგრესის ანგარიში უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და კონკრეტული.
- შუალედური პროგრესის ანგარიშის სტრუქტურა იქნება შემდეგი: რეზიუმე, სრული დამოუკიდებელი ანგარიში და ნებისმიერი დანართი, რასაც IEP ჩათვლის საჭიროდ. პერიოდულ ანგარიშებს არ ექნება რეზიუმე.
- IRM-ის პროცესის ფარგლებში შეგროვებული ის მონაცემები, რომელთა მონაცემთა ბაზად გამოსახვა არის შესაძლებელი, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღია მონაცემების პრინციპების გათვალისწინებით.